

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал  
“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 9-10, 2012

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

## რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ო. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბრატაშვილი; რ. გოგობია; ვ. დათაშვილი;  
ზ. ვაშაკიძე; თ. დოლიაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია);  
პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშ-  
ვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშ-  
ვილი; ა. სილაგაძე; ო. სოლდატენკო (უკრაინა); მ. ტურავა; ტ. ფედოროვა (რუსეთი);  
ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (რუსეთი); რ. ჭუბლაძე; კ. ლურჯვაია; გ. ყუფუნია; გ. შუბ-  
ლაძე; თ. შენგელია; ე. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; ზ. ჩხაიძე; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К.,  
Даташвили В., Джибути М., Джабнидзе Р., Долиашвили Т., Кавтарадзе Д. (Россия),  
Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А.,  
Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я.,  
Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сольдатенко  
О. (Украина), Самадашвили У., Турава М., Федорова Т. (Россия), Фачулия О.,  
Чикава Л., Читанав Н., Чхаидзе З., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаური Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI;  
Z. VASHAKIDZE; T. DOLIASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY);  
P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA;  
E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA);  
U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; O. SOLDATENKO (UKRAINE); M. TURAVA; O. FACHULIA;  
T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA;  
G.KUPUNIA;G.SHUBLADZE;T.SHENGELIA;ZH.TSIKLURI;N.CHITANAVA;L.CHIKAVA;Z.CCKHAIDZE;  
M. JIBUTI; R. JABNIDZE.

## უ ი ნ ა რ ს ი

### ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

**Vahan Baghdasaryan - TAX RELATIONS IN REFORM**----- 6

#### ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

- მაია გიორგობიანი, გურამ მეტეხელი** - აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების და სტუდენტთა სწავლების თვითღირებულებისა და ღირებულების სიდიდეებს შორის კორელაციური კავშირის დადგენის შესახებ----- 11
- ლია ძებისაური** - სარკისებური შედარების პრობლემები საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ----- 16
- ეთერ თაკალანძე** - ადამიანის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა ქვეყანა-სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მისია ----- 25

#### ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**დავით არუთიანი** - Вопросы эффективности принципов и методов регулирования платежного баланса ----- 35

#### დარგობრივი ეკონომიკა

- მაია კაპანაძე, მერაბი კვანტალიანი** - ტურიზმი გლობალიზაციის ეპოქაში: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები ----- 50
- მაია სეთური** - ახალი საქონლის დამუშავების პროცესის ზოგიერთი ასპექტი ----- 56
- ოთარ ჯიდჯავაძე, ვარლამ რამიშვილი** - Влияния влажности воздуха на мощность и экономичность работы судового двигателя -- 63
- ლიანა გრიგორიანი** - Основные принципы управления инновационным риском в промышленности ----- 70

**ვარლამ რამიშვილი, ნატალია ჯიჯავაძე** - ტურიზმის ინდუსტრია - ინვესტიციური საქმიანობის სფერო ----- 76

#### ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

- ლიანა გრიგორიანი** - Выбор критериев эффективности управления инновационным риском ----- 85
- ნინო გრიგორაია** - ბუღალტრული აღრიცხვის ფსიქოლოგიური ასპექტები ----- 90
- მურთაზ მალრადე, თეიმურაზ გოგნაძე** - სახელმწიფო შესყიდვების მართვის სრულყოფა ელექტრონული ტენდერების გამოყენებით -- 97
- მანანა ნანიტაშვილი** - ლოგისტიკის არსი და ლოგისტიკური მართვის ამოცანები ----- 110
- Ashot Matevosyan** - Innovation as the basis for the development and improvement of small and medium-sized enterprises ----- 117
- დავით არუთიანი** - Проблемы регулирования платежного баланса в РА ----- 124

#### რეცენზიები

**ავთანდილ სილაგაძე, კარლო ლურნკაია, რევაზ შენგელია, ზურაბ ვაშაკიძე** - უილიამ პეტტი- „პოლიტიკონომიის კოლუმბი“ 129

**რეზერატები** ----- 133

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

**Vahan Baghdasaryan** - Tax Relations In Reform -----6

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

**Maia Giorgobiani, Guram Metekheli** – About the Ascertain-  
ing the Correlation between the Indexes of the Academic Personnel’s  
Salary and the Cost and Value of Teaching Students -----11  
**Lia Dzebisauri** - Problems of Mirror Comparison  
in Georgian External Trade Statistics ----- 16  
**Ether Takalandze** - The Continuity of Human Heredity  
is the social-economic mission of the Country-Government ----- 25

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

**David Harutyunyan** - Some Issues of Efficiency of the  
Principles and Methods of the Regulation of the Balance of Payments --- 35

## SECTORAL ECONOMY

**Maia Kapanadze, Merabi Kvantaliani** - Tourism in the epoch  
of Globalization: Legal-Economic Aspects ----- 50  
**Maia Seturi** - Some Aspects of Development of a New Product ----- 56  
**Otar Djidjavadze, Varlam Ramishvili** – The Influence  
of Humidity of Air Power and the Efficiency  
of Internal Combustion Engine ----- 63  
**Liana Grigorian**- The Main Principles of Management  
of Innovative Risk in the Industry ----- 70

**Varlam Ramishvili, Natalia Djidjavadze** - Tourism Industry -  
The Sphere of Investment Activity ----- 76

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

**Liana Grigorian** – Choice of Criteria of Efficiency  
of Management of Innovative Risk ----- 85  
**Nino Grigolaia** - Some Psychological Aspects of Accounting----- 90  
**Murtaz Maghradze, Teimuraz Gognadze** - Improvement  
of State Procurement Management through Electronic Tenders ----- 97  
**Manana Nanitashvili** - The Essence of Logistics  
and Logistics Managerial tasks ----- 110  
**Ashot Matevosyan** - Innovation as the basis  
for the Development and Improvement of Small  
and Medium-sized enterprises ----- 117  
**David Harutyunyan** - The Problems of Regulation  
of Balance of Payments in RA ----- 124

## REVIEWS

**Avtandil Silagadze, Karlo Ghurtskaia, Revaz Shengelia,**  
**Zurab Vashakidze** - William Petty - “Columbus of Political Economy” 139

**SUMMARY**----- 133



**ეკონომიკური რეფორმა-  
ანალიზი, პრობლემები,  
პერსპექტივები**



**TAX RELATIONS IN REFORM**

**Vahan Baghdasaryan**

Armenian State Economic University,  
Deputy Dean of the financial fakultet ,  
Associate Professor, PhD

The implementation of fiscal policy of the Armenian government is taking place in the period reforms in tax administration and in the mechanism of taxation. Terms of the financial crisis situation and make it difficult to tighten the implementation of the tax authorities of its core functions. An important factor in the successful implementation of the tax authorities facing challenges is effectively functioning tax mechanism and objectively healthy tax relations.

Inherent in the modern economy, the tax ratio, as a set of specific legal and social relations for the redistribution of national income through the tax system, are a new category.

Transformation of market relations based on “pure” competition in a socially oriented market economy has resulted in 20-21 centuries, to rethink the structure and contents of the principles of tax system, the selection and compliance with certain institutional rules - principles of taxation, which, of course, on the development of tax okazyvayutvliyanie relations.

The development of theories of tax is interconnected with the concepts of social contract, according to which society as a collective payer gets from the government “services” at agreed prices, look at taxes as the cost of production, stimulation of which requires the growth of financial resources, including by reducing taxes . Given that the legitimacy of tax relations dictated by the role of the state as an institution that provides protection of persons and property, transfer of ownership of part of the income tax to the State is under a mandatory law for all, which is consistent

**ეკონომიკური რეფორმა-ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები**

with the principle of equality and universality of taxation. Compliance with these principles in tax relations allows participants to meet the needs of the reproduction process in the optimal tax impact on their economic decisions.

The need for government regulation of the economy, including through taxation, based on the principles of fairness and consistency. In the modern interpretation of the principle of justice includes not only the taxation of large incomes, but also the importance of objective assessment of fiscal capacity of the economy and groups of taxpayers. It also implies the need to avoid double taxation, and with the appropriate economic conditions and changes in seizures of up to minimize them. The implementation of the principle of correspondence shows the political responsibility of the state, seeking to improve the quality of public institutions, including the tax authorities. Outlined the principles of interdependence and development tax relations are not quite understood that, to some extent hinders the implementation of state tax policy at the regional level.

Definition of a “tax” by many scientists, economists regarded as a derivative of the Finance category. It is endowed with all the features of the latter, above all - the presence of the money form. Therefore, the tax as an economic category, cash is the relationship between the state, on the one hand, and the taxpayers - individuals and businesses (individuals and legal entities) - on the other, resulting in the redistribution part of the national income and the exclusion of its value in the mandatory order to the state<sup>1</sup>.

Therefore it is possible to recognize the tax part of the financial relations of relations, which develops in a society with redistribution of value added, and the formation of the state budget revenues. To understand the internal structure of fiscal relations in a category considered as “tax system.” Despite the widespread use of the term in economic literature, there is still no single value of this concept<sup>2</sup>. The tax system is presented in a set of three subsystems: subsystem of taxes and duties, tax authorities and the subsystem subsystem tax laws, which are designed to ensure the completeness and legality of income taxes and fees to the state budget. It is concluded that the tax ratio - a set of relations that arise between the

**1 Economic Theory / Ed. Kamaeva VD - M.: Vlados, 2007. – 510 p.**

**2 Yadgarov YS History of Economic Thought. - Moscow: INFRA-M, 2005.-254 p.**

government and taxpayers about the establishment, administration, and abolition of taxes levied. Characterization of tax relations is impossible without an analysis of taxation principles that define the foundation and structure of any system, including the system of fiscal relations.

When considering the tax administration as a tax management system for understanding the relationship of the economic categories identified elements that make up this system: tax planning, accounting taxpayer, tax control and tax regulation. Each of the elements of the tax administration has its own forms, methods and techniques to achieve their objectives.

The interaction between subjects and objects of tax control, as the basic functions of tax administration, has the character of direct and feedback. Direct connection provides the results of a controlling influence, used for making management decisions. Feedback summarizes the quality of fiscal control, indicates the extent of its influence on the object.

The tax control is important to maintain the proper level of fiscal discipline in the country, making important management decisions that could affect the object of tax control, which is the tax ratio, as well as of great importance in assessing the current tax system in the country, making suggestions for its improvement.

Tax regulation is the most complex structure in the system of tax administration as it faced the economic interests of the subjects of tax relations. Tax regulations are implemented by various forms, with the aim to balance income and expenditure budgets of all levels. Differences of forms and methods of tax regulation predetermined properties of the specific tax, as well as the challenges facing the defined budget.

Tax relations arise, change, or stop by the offensive, in certain circumstances (facts), as well as the tax ratio is always arise in connection with the fiscal function of the state and is always associated with the payment of taxes and charges, the facts in conventionally called "fiscal facts". Under the fiscal facts should be understood as the particular circumstances to which the norm is associated with a tax law, amendment or termination of certain tax relations.

One of the main tools for assessing the effectiveness of the tax system at the regional level is monitored factors internal and external environment with the release of methodological foundations necessary for de-

velopment and further implementation of management decisions aimed at maximizing and improving the performance of the participants of tax relations. Organization of monitoring fiscal relations must include a control mechanism for keeping the controlled performance of the participants in this type of relationship, and change them with an estimate of the size and reasons for deviations, as well as management by timely informing of the possibility of negative, critical or harmful changes.

The effectiveness of interaction between the subjects of tax relations will depend on various factors<sup>1</sup>. With this purpose in the work highlights the main factors influencing the development of tax at the regional level, including:

- The quality of the work of tax authorities;
- The tax burden of taxpayers, which depends on its ability to perform in full the obligation to pay all outstanding taxes and fees;
- Tax risks that directly affect the development of tax relations.

An important factor in the totality of relations of tax is the tax burden of taxpayers. So far, no common methodological approaches to the determination of parameters describing the tax burden at both the macro and micro levels. The difficulties are due to different definition of tax base among different taxes. Proposed in the determination of the tax burden on the enterprise level to calculate two measures: the ratio of total tax payments (other than income tax on individuals) to sales-gross (with indirect taxes) and the ratio of tax payments to the newly created value. The action of the tax burden is manifested in influencing the standard of living in a particular region, state, and the development of national economy and the country's economic system. For the individual enterprise tax burden - a collection of all taxes and payments, the payer which it is under the law, so changing the tax burden is directly related to changes in the amount established by the state tax rate and its tax base. Efficient establishment of indicators of the tax burden will lead naturally to the optimization of the entire set of tax relations, and thus to increase its effectiveness. It is also an important factor influencing the nature of fiscal relations, defined by a factor of tax risks. The tax risk in the mean risk for the subjects of tax

<sup>1</sup> Entrepreneurship: A Textbook for universities / Ed. Professor. VJ Gore-Finkel, prof. GB Polyak, prof. VA Shvandara. - M.: UNITY-DANA, 2005. – 581p.

relations suffer financial and other losses associated with the process of taxation, the negative deviations for the subject of his alleged relations of the states of the future, on the basis of which they make decisions in the present.

Managing tax risk largely depends on the availability of information about the probability of occurrence and magnitude of their effects, expressed value. Informed decisions on the impact on taxation will be accepted if all the consequences of a decision can be accurately assessed. In the face of uncertainty, it is necessary to work to find enough information in order to bring this option to the possibility of analyzing the consequences of risk occurrence and the adoption of certain decisions.

**აკონომიკური თეორიის  
თანაქვედროვე პრობლემები**

**აკადემიური პერსონალის უროვის ანაზღაურების  
და სტუდენტთა სწავლების თვითღირებულებისა  
და ღირებულების სიდიდეებს უროის კორელაციური  
კავშირის დადგენის შესახებ<sup>1</sup>**

**მაია გორგობიანი**  
ემდ, პროფესორი  
**გურამ მეტეხელი**  
ემდ, პროფესორი

რამოდენიმე შემთხვევითი სიდიდეს შორის შეიძლება არსებობდეს ურთიერთობის (დამოკიდებულების) განსხვავებული ფორმები – ფუნქციონალური, სტატისტიკური, კორელაციური – ან მათ შორის შეიძლება არ იყოს არავითარი დამოკიდებულება. ყველა ფუნქციონალური დამოკიდებულება წარმოადგენს მკაცრად დეტერმინირებულს და ამიტომ ისინი იშვიათად ვლინდებიან. სტატისტიკური და კორელაციური დამოკიდებულება ყოველთვის ატარებს სტოქასტიკურ ხასიათს. თუ რამოდენიმე სიდიდიდან ერთერთის ცვლილება იწვევს დანარჩენი სიდიდეების ალბათური განაწილების ცვალებადობას, მაშინ ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენს სტატისტიკურს. თუ კი რამოდენიმე სიდიდიდან ერთერთის ცვლილებით იცვლება სხვა სიდიდეების საშუალო სტატისტიკური მნიშვნელობები, მაშინ ასეთი სტატისტიკური დამოკიდებულება არის კორელაციური.

კორელაცია შეიძლება იყოს პირდაპირი იმ შემთხვევაში, თუ ორი ან რამოდენიმე სიდიდის ურთიერთობა ისეთია, რომ მათი მნიშვნელობები იზრდება ან მცირდება. უკუ (შებრუნებულ) კორელაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სიდიდე იზ-

<sup>1</sup> გაგრძელება ამავე ჟურნალში დაბეჭდილი სტატიისა: "ფიქრები ცარიელი სამკითხველო დარბაზებისა და გამოუყენებელი სასწავლო ლიტერატურის შესახებ", №7-8, 2011 წ.

რდება მეორის შემცირების შედეგად. კორელაცია შეიძლება იყოს მეტნაკლებად მჭიდრო იმ შემთხვევაში, თუ ორი ან რამოდენიმე სიდიდის დამოკიდებულება მეტნაკლებად ხისტია, გარკვევით ან ზუსტად არის გამოკვეთილი. ასე მაგალითად, აკადემიური პერსონალის ხელფასი ორი სახისაა: ნომინალური და რეალური. ნომინალური ხელფასი არის ფულადი თანხა, რომელსაც იღებს მუშაკი განეული შრომისათვის. ხოლო რეალური ხელფასი არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის ყოველაც შეუძლია ადამიანს თავისი ნომინალური ფულადი ხელფასით. მისი სიდიდე დამოკიდებულია ორ ფაქტორზე - ნომინალური ხელფასის სიდიდეზე და საარსებო საშუალებათა ფასების დონეზე. ნომინალურ ხელფასს, საარსებო საშუალებათა ფასებს და რეალურ ხელფასს შორის ურთიერთდამოკიდებულება ასეთია: თუ საარსებო საშუალებათა ფასები უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება ნომინალური ხელფასის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, თუ ნომინალური ხელფასი უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება ნომინალური ხელფასის ცვლილების პირდაპირპროპორციულად. თუ ნომინალური ხელფასი უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება საარსებო საშუალებათა ფასების უკუპროპორციულად. ნომინალური ხელფასისა და საარსებო საშუალებათა ფასების ერთდროული ცვლილების დროს რეალური ხელფასის ცვლილებას განსაზღვრავს ნომინალური ხელფასისა და საარსებო საშუალებათა ფასების ინდექსთა თანაფარდობა.

ნომინალური ხელფასის მყიდველუნარიანობის გაანგარიშებისათვის საჭიროა მისგან საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადების გამოქვითვა, ხოლო რეალური ხელფასის სიდიდის განსაზღვრისათვის საჭიროა ნომინალურ ხელფასს გამოაკლდეს ინდივიდუალური გადასახადები. ციფრს, რომელიც გვიჩვენებს სიდიდეებს შორის კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს კორელაციის კოეფიციენტი ეწოდება. იგი პირდაპირი კორელაციის შემთხვევაში გამოსახულია დადებითი სიდიდით, ხოლო შებრუნებულისას – უარყოფითი სიდიდით. მათი აბსოლუტური სიდიდეები იმყოფება 0 და 1 შორის. ორი შემთხვევითი სიდიდის X და Y ურთიერთობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს კორელაციური მონენტის. იგი განისაზღვრება ამ სიდიდეების ნამრავლთა მათემატი-

კური მოლოდინის გადახრით

$$m_{xy} = M(XY) - M(X) M(Y)$$

თუ X და Y არ არის ურთიერთდამოკიდებული, მაშინ  $m_{xy} = 0$ . თუ X და Y ურთიერთდამოკიდებულია, მაშინ  $m_{xy} \neq 0$ .

განვიხილოთ ორი ინფორმაციული ობიექტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების და სტუდენტთა სწავლების ღირებულების სიდიდეების კორელაციური კავშირი. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში საათობრივი ანაზღაურების წესით მონვეული და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში როგორც შტატში მომუშავე, ასევე საათობრივი წესით მონვეული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების სისტემები იდენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხელფასს იღებენ მხოლოდდამხოლოდ ფაქტობრივად ჩატარებულ საათებზე. რაც შეეხება ერთი საათის ანაზღაურების განაკვეთის სიდიდეს, იგი დამოკიდებულია მხოლოდდამხოლოდ მოცემული სასწავლებლის ხელმძღვანელის ნებასურვილზე, მის შეხედულებაზე. ამასთან უგულველყოფილია მისი და დიფერენცირებული სწავლების ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული) ურთიერთკავშირი, რომელიც ლექტორის შრომის სირთულის ხარისხს განსაზღვრავს. შრომის ანაზღაურების ასეთი სისტემით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ აკადემიური პერსონალი წელიწადში პრაქტიკულად 5-6 თვე არის დასაქმებული, რაც ფაქტობრივად 0,5 განაკვეთზე მუშაობას ნიშნავს, რითაც 2-ჯერ მცირდება საათობრივი ანაზღაურების ისედაც შემცირებული განაკვეთი. ისმის კითხვა: რა არის მთელი ამ ფილოსოფიის საფუძველი, როგორ იქმნება ბიზნესის ამ სფეროში ზედმეტი ღირებულება, რაც მოგების ძირითად წყაროს წარმოადგენს? დასმული კითხვის პასუხი, ჩვენი აზრით, სასწავლო კრედიტების (საათების) განაწილების ე.წ. საკონტაქტო სისტემის შემოღების პრაქტიკის იდეაში უნდა ვეძებოთ. ნებისმიერ დისციპლინაში ლექტორს ე.წ. საკონტაქტო საათების სახით (ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად) გამოყოფილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული საათების 1/3 ანუ 30% (რაზეც ეძლევა მას ხელფასი), ხოლო სტუდენტს – საათების 2/3 ანუ 70%. სტუდენტი სწავლის ქირას იხდის არა მხოლოდ იმ საათებზე (30%-ზე), რომლითაც იგი სარგებლობს ლექტორის

მომსახურებით, არამედ 70%-ზეც, რომელიც მას დათმობილი აქვს ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მეცადინეობის განსახორციელებლად. ამ ლოგიკიდან გამომდინარე სტუდენტმა წლიური გადასახადი უნდა გადაიხადოს არა 2200 ლარი, არამედ მისი 30%, ანუ 660 ლარი და ჩამოენეროს მას 1540 ლარი (2200-ის 70%). ეს თანხა (660 ლარი) არის სტუდენტის მომზადებაზე განეული ე.წ. პირდაპირი დანახარჯები. ამას თუ დავუმატებთ არაპირდაპირ ხარჯებს (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს, გათბობის, განათების, დღგ-ის, მოგების და ა.შ. ხარჯებს) ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით დაახლოებით 40 ლარს (ჩვენი გათვლებით რაც სავსებით საკმარისია) მივიღებთ სტუდენტის მიერ გადასახდელ საბოლოო თანხას 700 ლარს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე მას ჩამოენერება 1500 ლარი, რითაც სტუდენტობას შეინარჩუნებს ასობით და ათასობით პიროვნება, რომლებიც უსახსრობის გამო წყვეტენ სწავლის პროცესს და სტოვებენ უმალეს სასწავლებლებს.

მასობრივი სპეციალობისა და კვალიფიკაციის ბაკალავრების მომზადებიდან უნდა გამოვყოთ ის სპეციალობები, (მაგალითად, სამედიცინო პროფილის), რომლებიც პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის საჭიროებენ სპეციალურ ლაბორატორიებს აღჭურვილ სათანადო მონყობილობებით, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და ზრდის სტუდენტის მომზადების თვითღირებულებას, თუმცა ამ სპეციალობების მომზადების წლიური გადასახადი გაცილებით აღემატება 2200 ლარს, რაც არსებით გავლენას ვერ ახდენს ჩვენს მიერ დადგენილ კანონზომიერებაზე და მიღებული კვლევის შედეგებზე.

აღბათ ცალკე კვლევის საგანია ის ე.წ. პრესტიჟული უმალესი სასწავლებლები, სადაც სტუდენტთა მომზადების წლიური გადასახადი რამოდენიმეჯერ აღემატება 2200 ლარს. გასარკვევი და დასადგენია რა სასწავლო პროგრამებით ეუფლებიან ეს სტუდენტები ცოდნას და ვინ არიან ის განსაკუთრებული პროფესორები, რომელთა მიერ გაყიდული ცოდნა ასე ძვირად ფასობს? თუ გამოვალთ ამ სტუდენტთა მშობლების თვითური ხელფასის, პრემიების და სხვა შემოსავლების სიდიდიდან სრულებით არ არის გასაკვირი ასეთი მაღალი გადასახადი, მაგალითად, თუ დავუჯერებთ 2012 წლის

9 სექტემბერს მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების (შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი) გამართულ სატელევიზიო დებატებზე ბატონი შალვა ნათელაშვილის ნათქვამს, რომ კვარციტის ოქროს საბადოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კობა ნაყოფიას (ეს ის პიროვნებაა, რომელმაც თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ ელენე ხარაბაძეს კაბინეტი და ლაბორატორია მოუწყო) 26 წლის ლანირაკი შვილის ხელფასი 2 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს (რა უფლება გვაქვს მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გამონათქვამის სიმართლეში ეჭვი შევიტანოთ), კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს ამ კატეგორიის მშობელთა შვილების სწავლის ქირა.

წინამდებარე სტატიის მკითხველთა გარკვეულ ნაწილს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მისი ავტორები ბიზნესის წარმოების წინააღმდეგი არიან მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოება ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთ საშუალებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ხედავს და სრულიად სამართლიანადაც. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ბიზნესი და მოგება განუყოფელი სინონიმებია, ანუ ბიზნესი არ არსებობს მოგების გარეშე და პირიქით. მოგების წყაროს კი ზედმეტი ღირებულება ქმნის, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველი ჩვენს შემთხვევაში აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სტუდენტთა სწავლის ქირის გადასახადების სიდიდეებს შორის არაადეკვატურობაში მდგომარეობს. დასასრულს ხაზგასმით გვინდა ავლნიშნოთ, რომ სტატიის გამოქვეყნება ბიზნესის წარმოების უარყოფას კი არ ისახავს მიზნად, არამედ იგი არის ამ სფეროს უსამართლოდ მომხვეჭელ ე.წ. ბიზნესმენტთა საჯაროდ მხილების პირველი მცდელობა.



## სარკინო-საქონლო უმჯობესების პრობლემები საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

ლია ძევისაური

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის დოქტორანტი

გლობალიზაციის გაღრმავების პროცესი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზრდის საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას. ასეთ პირობებში ქვეყნების მონაწილეობა გლობალურ სავაჭრო პროცესებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არსებული ასიმეტრია უფრო და უფრო ცხადი ხდება და მისი დონე სტატისტიკოსებისა და პოლიტიკური წრეების მზარდ ინტერესს იწვევს.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების პრობლემემატიკის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სტატისტიკური მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდება. რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება მთლიანი სავაჭრო ნაკადების სიდიდეს. მაჩვენებლები მეტნაკლებად მიახლოებითია, რადგან ექსპორტისა და იმპორტის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზით აღურიცხავი რჩება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ქვეყანა-კონტრაგენტებთან ურთიერთშორის განხორციელებული ექსპორტისა და იმპორტის ამსახველ მონაცემებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად ართულებს მათ გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში და ამ პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში განსხვავებათა ანალიზისას გამოიყენება შეფასების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები.

სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული განსხვავების აღმოჩენა და მისი სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია ჯამურ მონაცემთა მარტივი შედარების გზით. მაგრამ განსხვავების მიზეზების დადგენისთვის ანუ სტატისტიკური ასიმეტრიის გამოვლენისათვის პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. „სარკინო-საქონლო შედარების“ მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: ორი დაინტერესებული ქვეყნის საბაჟო და სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ახორციელებენ ორ სავაჭრო პარტნიორს შორის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში გადაადგილებული სასაქონლო ნაკადების სიდიდის შედარებას პირველადი მონაცემების საფუძველზე. შედარების შედეგად შეირჩევა საქონლის წრე, სადაც ყველაზე დიდი განსხვავება ფიქსირდება და ამის შემდეგ იწყება დეტალური კვლევა ოპერაციის განხორციელების თარიღის, ექსპორტიორი ან იმპორტიორი კომპანიის, წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნების და სხვა დეტალების ერთობლივი განხილვით. შედეგად შესაძლებელია განსხვავების რეალური მიზეზების დადგენა.

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

შედეგად შესაძლებელია განსხვავების რეალური მიზეზების დადგენა.

საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული, ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებს შორის განსხვავების, ძირითადი მიზეზები სარკინო-საქონლო შედარებებში შეიძლება იყოს:

- განსხვავება CIF (იმპორტის შემთხვევაში) და FOB (ექსპორტის შემთხვევაში) ფასებს შორის.

ქვეყნების უმრავლესობა ექსპორტს აღრიცხავს FOB ფასის, ხოლო იმპორტს — CIF ფასის ბაზაზე. ამასთან, იმპორტის ღირებულების დეტალური შესწავლისათვის აუცილებელია მისგან CIF ფასის გამიჯვნა. ზოგადი მეთოდოლოგიის თანახმად, აღნიშნული განსხვავება მერყეობს 10-12 პროცენტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ტვირთის ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯებს. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება ცალკეული ქვეყნების მიხედვით ტერიტორიული სიახლოვის ფაქტორის გათვალისწინებით;

- პარტნიორი ქვეყნების მიერ ოპერაციების აღრიცხვის დროს განსხვავება.

რაც უფრო შორ მანძილზე მდებარეობენ მოვაჭრე ქვეყნები ერთმანეთისგან, მით მაღალი იქნება აღნიშნული განსხვავების არსებობის ალბათობა. მაგალითად, ქვეყანა-ექსპორტიორის საქონელმა გადაკვეთა მისი სახელმწიფო საზღვარი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, ხოლო ქვეყანა-იმპორტიორის საზღვარზე გადავიდა მხოლოდ შემდეგი სააღრიცხვო წლის დასაწყისში. ამ შემთხვევაში სააღრიცხ-

ვო წლის ბოლოს ქვეყანა-იმპორტიორისათვის მოცემული საქონელი “იმყოფება გზაში” და არ შეიძლება დაფიქსირებული იყოს, როგორც სააღრიცხვო წლის იმპორტი. თუმცა, ე.წ. „საქონელი გზაში“ შეიძლება გახდეს მონაცემებს შორის განსხვავების აღმოცენების მიზეზი მხოლოდ ქვეყანა-კონტრაგენტისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო სახელმწიფო საზღვარი. მაგრამ გამონაკლისის არსებობა ამ შემთხვევაშიც დასაშვებია, თუ ადგილი ექნება საბაჟო საზღვარზე ამა თუ იმ მიზეზით ტვირთის დაყოვნების ფაქტს.

● პარტნიორი ქვეყნის აღრიცხვაში სხვადასხვა მიდგომის გამოყენება. როგორც წესი, ექსპორტის დროს, სავაჭრო პარტნიორის როლში გამოდის საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, იმპორტის დროს — მოვაჭრე ან წარმოშობის ქვეყანა. საქართველოში ორივე შემთხვევაში პარტნიორად მოიაზრება საქონლის მომწოდებელი (იმპორტის შემთხვევაში) და საბოლოო დანიშნულების (ექსპორტის შემთხვევაში) ქვეყანა;

● განსხვავებული სასაქონლო კლასიფიკაციების გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებს ორ ქვეყანას შორის გადაადგილებული სასაქონლო ნაკადების შედარების პროცესს.

● აღრიცხვის დროს ტერიტორიის არასრული აღრიცხვა. საკითხი ეხება ქვეყნის ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს;

● ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის „ზოგადი“ და „სპეციალური“ სისტემების გამოყენება;

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ჯამობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარება. „სპეციალური“ სისტემით აღრიცხვისას საგარეო ვაჭრობაში აისახება ეროვნული წარმოების საქონელი, აგრეთვე, ქვეყანაში საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოზიდული და „ნაციონალიზებული“ (უცხოური წარმოების საქონელი, რომელმაც გაიარა საბაჟო განმენდა და გატანილ იქნა უცხოეთში გადაუმუშავებელი სახით) საქონელი. „ზოგადი“ სისტემით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის გაანგარიშებისას „სპეციალური“ სისტემით აღრიცხულ საქონელს დაემატება „თავისუფალი ზონიდან“ გაზიდული (შემოზიდული) საქონლის ღირებულება.

● საქონლის ღირებულების აღრიცხვა ეროვნულ ვალუტაში და სავალუტო კურსების ფლუქტუაცია.

ზოგიერთ ქვეყანაში უცხოურ ვალუტაში გამოსახული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება ხორციელდება ექსპორტირების (იმპორტირების) მომენტში ქვეყანაში მოქმედი კურსის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში კი (დიდი ბრიტანეთი) — ეროვნული ვალუტის საშუალო თვიური კურსის საფუძველზე აშშ დოლართან მიმართებაში;

● არაორგანიზებული ვაჭრობა, რომელიც გამოწვეულია საბაჟო ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული ტვირთების არადეკლარირებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახის ვაჭრობა მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს. აღნიშნული ზღვარიც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით;

● შეცდომები დაშვებული საქონლის დეკლარირების დროს: ქვეყნის ან საქონლის კოდის არასწორად მითითება, ღირებულებებისა და წონის არასწორად დაფიქსირება და მრავალი სხვა, რასაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი.

პრაქტიკაში ღირებულებით მაჩვენებლებთან ერთად საკმაოდ აქტიურად გამოიყენება მოცულობითი მაჩვენებლების შედარება, რომლებიც უფრო ზუსტ წარმოდგენას იძლევიან სასაქონლო ნაკადების მოძრაობის სრულად აღრიცხვაზე.

განსხვავების მიზეზები შეიძლება იყოს აგრეთვე საერთაშორისო მეთოდოლოგიიდან გადახრები საქონელთა წრის ნაწილში, რომელსაც აღრიცხავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა.

განსხვავებათა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეშვეობით ქვეყნების ნაწილი განსხვავებულად ახორციელებს ფიზიკური პირების მიერ შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას. მაგალითად, აზერბაიჯანი ცალკე აღრიცხავს ავტომობილების იმპორტს და არ ასახავს მას მთლიან იმპორტში.

არაფორმალურ პირობებში სარკისებური შედარების ჩატარება გართულებულია, რადგან ქვეყნების უმრავლესობა არ ავრცელებს ინფორმაციას პარტნიორებისა და სასაქონლო ჭრილში. აგრეგირებული მონაცემების შედარება ზოგადი ტენდენციის დანახვის საშუალებას მოგვცემს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია განსხვავების მიზეზების დადგენა.

არ არის სარწმუნო ანგარიშგების დოკუმენტაცია და სავარაუდო მონაცემები არაორგანიზებული სავაჭრო ოპერაციების, აგრეთვე

კონტრახანდული გზით საქონელმიმოქცევის შემთხვევაში. დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ჩრდილოვანი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების დადგენა, რადგან არ არსებობს არავითარი პირდაპირი ინფორმაცია მის შესახებ.

მონაცემებს შორის განსხვავების ანუ სტატისტიკური ასიმეტრიის დონე შეიძლება გაიზომოს შემდეგი ტოლობის საშუალებით:

$$DIF_{st}^{ij} = \frac{Imp_{st}^{ij} - Exp_{st}^{ij}}{Imp_{st}^{ij}}$$

სადაც,  $Imp_{st}^{ij}$  - არის  $j$  ქვეყნის მიერ რეგისტრირებული  $s$  საქონლის იმპორტი განხორციელებული  $i$  ქვეყნიდან  $t$  პერიოდში;

$Exp_{st}^{ij}$  - არის  $i$  ქვეყნის მიერ რეგისტრირებული  $s$  საქონლის ექსპორტი განხორციელებული  $j$  ქვეყნიდან  $t$  პერიოდში.

აღნიშნული ფორმულის გამოყენებით მოვახდინეთ სტატისტიკური ასიმეტრიის დონის პრაქტიკული გაანგარიშებები საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორის აშშ-ის მაგალითზე, საქართველო-აშშ-ის ორმხრივი ვაჭრობის რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით (ცხრილი №1).

ცხრილი №1.

საქართველო-აშშ ვაჭრობის მონაცემების ასიმეტრია

მლნ. აშშ დოლარი

	საქსტატი		აშშ-ის აღწერის სახელმწიფო ბიურო		ასიმეტრიის დონე (%)	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	საქართველო როგორც ექსპორტიორი	საქართველო როგორც იმპორტიორი
2004	21.2	110.9	77.7	227.1	72.7	-104.8
2005	26.7	146.9	194.4	213.9	86.2	-45.6
2006	58.5	129.6	105.3	263.5	44.4	-103.3
2007	149.0	203.9	211.6	364.2	29.6	-78.6
2008	102.2	358.1	207.8	586.5	50.8	-63.8
2009	36.9	231.6	69.6	363.8	47.0	-57.1
2010	187.2	181.0	197.8	301.1	5.3	-66.4
2011*	143.5	245.8	176.1	579.3	18.5	-135.7
2012**	52.8	79.0	184.4	50.6	-4.4	-133.6

\* წინასწარი მონაცემები

\*\* იანვარი-აპრილის მონაცემები.


პროგნოზური თარიღის თანამართლება პროგნოზში

როგორც ჩანს, სტატისტიკური ასიმეტრიის დონე აშშ-ის შემთხვევაში იმპორტში უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტში. ასეთი დიდი განსხვავება, გარდა დროითი ფაქტორისა, შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზით: ქართული კომპანიის მიერ აშშ-ში საქონლის შესყიდვისთანავე ამერიკული მხარე აფიქსირებს ექსპორტს საქართველოს მიმართულებით (საქართველო, როგორც საბოლოო დანიშნულების ქვეყანა). რადგან საქონელი აშშ-დან ძირითადად საზღვაო გადაზიდვების გზით შემოდის, ტვირთის მფლობელს, საკუთარი ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს საბოლოო დანიშნულების ადგილამდე მოახდინოს საქონლის გადაყიდვა.

2012 წლის იანვარ-აპრილის მონაცემების მიხედვით საქართველოს, როგორც ექსპორტიორის ასიმეტრიის დონე -4.4 პროცენტია. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და აღნიშნული განსხვავება შეიძლება აიხსნას დროითი ფაქტორით. კერძოდ, ამ პერიოდში საქართველოდან ექსპორტირებული 2.2 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ტვირთს ჯერ არ ჩაუღწევია დანიშნულების ადგილამდე. საქონლის ეს ნაწილი აუცილებლად აისახება აშშ-ის მაისის იმპორტის მონაცემებში.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა №1 გვიჩვენებს განსხვავებას აშშ-ის ექსპორტისა და საქართველოს იმპორტის მონაცემებს შორის.

დიაგრამა №1.



საინტერესოა საქართველო-აშშ-ის ვაჭრობის მონაცემებს შორის არსებული განსხვავების განხილვა საქონლის ჭრილში. თუმცა, დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს მეთოდოლოგიური განსხვავებებიც. კერძოდ, ეს ორი ქვეყანა სხვადასხვა სასაქონლო კლასიფიკაციას იყენებს საზღვარზე საქონლის დეკლარირებისას. საქართველო იყენებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 2007 წლის ჰარმონიზებულ ვერსიას, ხოლო აშშ — საბოლოო გამოყენების კატეგორიების საფუძველზე აგებულ კლასიფიკატორს. გარდა აღნიშნულისა, ექსპორტის დეკლარირებისას საქართველო იყენებს FOB ფასს, ხოლო აშშ - FAS ფასს. იმპორტის აღრიცხვისას საქართველო იყენებს მოვაჭრე ქვეყნის კატეგორიას, ხოლო აშშ - წარმოშობის ქვეყნის. ექსპორტის შემთხვევაში ორივე ქვეყნის მიდგომა ერთნაირია — საბოლოო დანიშნულების ქვეყნის გამოყენება.

რადგან ასიმეტრიის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება 2011 წლის იმპორტში, ამიტომ სასაქონლო ჭრილში არსებული განსხვავება განვიხილოთ სწორედ მოცემული პერიოდის მონაცემთა ბაზაზე (ცხრილი №2).

ცხრილი №2.

აშშ-დან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები 2011\* წელს

	მლნ. აშშ დოლარი		
	აშშ-ის ექსპორტი	საქართველოს იმპორტი	განსხვავება
მსუბუქი ავტომობილები	202.5	129.6	72.9
ქათმის ხორცი	101.3	33.0	68.3
ნავთობპროდუქტები	56.7	0.8	55.9

\* წინასწარი მონაცემები

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი განსხვავება, 72.9 მლნ. აშშ დოლარი, ფიქსირდება მსუბუქი ავტომობილების იმპორტში.

მნიშვნელოვანი განსხვავება, 68.3 მლნ. აშშ დოლარი, შეინიშნება ქათმის ხორცის იმპორტში. აშშ-ს მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში ექსპორტზე გაგზავნილი აქვს 101.3 მლნ. აშშ დოლარ-

ის ღირებულების პროდუქტი, ხოლო საქართველოს სტატისტიკა ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით აფიქსირებს 33.0 მლნ. აშშ დოლარის ქათმის ხორცის იმპორტს პარტნიორი ქვეყნიდან.

55.9 მლნ. აშშ დოლარის განსხვავებაა ნავთობპროდუქტებში. კერძოდ, აშშ-ის აღწერების ბიუროს მონაცემებით, ამ პერიოდში საქართველოში ექსპორტირებული იყო 56.7 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ნავთობპროდუქტები, ხოლო საქართველოს მხარის მიერ აშშ-დან იმპორტში დეკლარირებულია 771.8 ათასი აშშ დოლარის შესაბამისი პროდუქცია.

სპეციალური სავაჭრო კომპანიების წახალისებისა და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის ჩამოყალიბების პოლიტიკიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მომავალში აშშ-დან საქართველოს მიმართულებით წამოსული საქონლის მოცულობა, მისი შემდგომი რეექსპორტის მიზნით, კიდევ უფრო გაიზრდება და განსხვავებაც უფრო სოლიდური გახდება.

მაგრამ, ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აშშ იმპორტს აღრიცხავს წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ამ მხრივ დავინახავთ გარკვეულ უზუსტობებს აშშ-ის მონაცემებში. აშშ-ის აღწერების ბიუროს მონაცემებით, საქართველოდან იმპორტში ფიქსირდება ისეთი სახის პროდუქცია, როგორცაა: ნედლი ყავა, მოლუსკები, დაუმუშავებელი ალმასი და ბრილიანტის თვლები, მოტოციკლები, სამედიცინო აპარატურა, რომლებიც საქართველოში ნამდვილად არ იწარმოება.

როგორც ჩანს, განსხვავებები საკმაოდ სოლიდურია და მის შესამცირებლად აუცილებელია შესაბამის ქვეყნებთან სარკისებური შედარებების ჩატარება.

წარმოებული გათვლები საშუალებას იძლევა გაიზომოს პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის არსებული განსხვავების დონე, მაგრამ ასეთი ზოგადი ინფორმაცია არ არის საკმარისი დავადგინოთ ამ განსხვავებების რეალური მიზეზები.

სტატისტიკური ასიმეტრიის დონე შეიძლება გაანგარიშდეს ასევე, პროდუქციების ჭრილში. ამის საფუძველზე გამოვლინდება ტენდენციურობა რომელიმე კონკრეტული საქონლის ან საქონელთა ჯგუფის მიმართ და ექსპორტების მუშაობა, განსხვავების მიზე-

ზების დასადგენად, წარიმართება შესაბამისი მიმართულებით.

მონაცემების ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში პროდუქციის გარკვეული მოცულობის არაორგანიზებული გზით მიმოქცევაზე. პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არსებული პრობლემის გადასაჭრელად სარკისებური შედარების სტატისტიკის წარმოების აუცილებლობას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ნაწილობრივი უზუსტობის მიუხედავად, ისინი მიმდინარე პროცესების და საერთო ტენდენციის გამოვლენის საშუალებას მაინც იძლევა.

იმისათვის, რომ ქვეყნებს ჰქონდეთ საშუალება სისტემატიურად გააანალიზონ საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესები, მოახდინონ საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების სიზუსტის მონიტორინგი, მნიშვნელოვან ხელშეწყობ ფაქტორს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და მონაცემთა ურთიერთგაცვლის საკითხებში. ეს პროცესი ამჟამად საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავებას და თანამშრომლობის გაძლიერებას როგორც სამთავრობო, ისე უწყებრივი სტრუქტურების დონეზე.

**ადამიანის მემკვიდრეობის უწყვეტობა  
ქვეყანა-სახელმწიფოს  
სოციალურ-ეკონომიკური მისიას\***

**ეთერ თაკალანძე**  
ემდ

ადამიანის (ერი, კაცობრიობა) კულტურული თვითგანვითარება გულისხმობს კონკრეტულ ქვეყანაში მკვიდრი ადამიანური (კეთილგონივრული) უნარ-ჩვევების ევოლუციურ განვითარებას, რომელიც ადამიანის მემკვიდრეობითობის სოციალურ ბუნებას ეფუძნება. იგი ურთიერთისაგან დამოუკიდებელი, ორი – სახელმწიფოებრივი და რელიგიური – სამსახურის თანაარსებობის პირობებში განხორციელდება; უზენაესი კანონის – „ლაზარე“-ს განსაზღვრულობა, რომ დამდეგ 2000-წლეულში ადამიანის კეთილგონიერების დონის ახალ ეტაპობრივ (მე-6) საფეხურზე ამაღლებამ საფუძველი უნდა შექმნას მისი ბოლო, ანუ მე-7 საფეხურზე ამაღლებისათვის<sup>1</sup>, არის კონკრეტული **ახალი სიტყვა**, რომელიც მოიცავს ახალ სამეცნიერო ინფორმაციულ წყაროს; – წყაროს საიმისოდ, რომ ამ, დამდეგი, ახალი დროის საზოგადოებრივ ურთიერთობებში აღნიშნული ორი სამსახურის ფუნქციები უნდა გადაისინჯოს; – რომ ადამიანზე სახელმწიფოს ძალადობრივი და რელიგიური ზეგავლენა დიდწილად, მეცნიერებამ უნდა ჩაანაცვლოს.

აღნიშნული ინფორმაცია, ცხადია დედამიწაზე სოციალური ეკონომიკის ახლებურად (მეცნიერებაზე დაყრდნობით) წარმართვის აუცილებლობაზე მიანიშნებს. ეს მინიშნება ქართული ენის (ლაზარე) კანონზე და ასო-ნიშნებზე დაყრდნობით გამიფრულად არის „ლაზარეში“ წარმოჩინებული და, თავისი არსით, ადამიანის მიმართ სოციალური მოთხოვნების გაშიფვრაა; – ამ ფორმით, ე.ი. ლაზარეს ასო-ნიშნებით ერის ფუნქციაზე მინიშნების წესით, არის წარმოჩინებული ის უზენაესი განსაზღვრულობა, რომ ადამიანის

<sup>1</sup> ამგვარი განსაზღვრულობა თვალსაჩინოდ, ნახაზის სახით წარმოჩენილია ჩვენს სტატიაში, უ. „ეკონომიკა“, №7-8, 2004.

\* იბეჭდება ავტორის დაჟინებული მოთხოვნით, მისი სტილის დაცვით.

ეროვნული მემკვიდრეობითობის დაცვა და, ამ გზით ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის მუდმივად შენარჩუნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფუნქციაა; – რომ ქვეყანაში მკვიდრი ერის მხრიდან ამ ფუნქციის შესრულება გარდაუვალია მთლიანი დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის სტაბილურობის 2000 წლიანი ეტაპობრივობითა და მუდმივად შენარჩუნებისათვის.

ანუ: კეთილგონიერება, რომელიც დედამიწაზე ადამიანის უნარ-ჩვევების შესაბამისი ქცევებით გამოიხატება, მონაწილეობს ასტრო-ფიზიკურ ერთიანობაში – ოთხყაროს (დრო, დედამიწა, მზე, ვარსკვლავები) თვითშემოქმედებაში; ე.ი. ამ გლობალურ ურთიერთობებში ყოველი კონკრეტული ადამიანის, მისი მშობელი ერის, ქვეყნისა და მთლიანი დედამიწის თვითგანვითარების საქმიანობა-პროცესი, ამ უკანასკნელის მიმდინარეობის დროისა და სივრცის მიხედვით არის გაერთიანებული ხსენებული, ერთიანი ოთხყაროს თვითშემოქმედების პროცესთან; ეს პროცესები გაერთიანებულია დედამიწაზე გამომდინარე ადამიანების განცდათა იმ უწყვეტი ჯაჭვით, რომელიც იქმნება სამშობლო ქვეყანაში ადამიანების მიზანდასახულობებიდან, რომლებიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმაცია განაპირობებს.

ირკვევა, რომ ასტრო-ფიზიკურ სხეულებთან დედამიწის მიმართებების ადამიანის ცნობიერებაში (შეგრძნება-განცდების ფორმით) ასახვის ზემოთ წარმოჩინებული წესრიგი (გონი, ღმერთი, – **ახალი სიტყვა**, იგივე უზენაესი კანონი-„ლაზარე“) სთავაზობს (კარნახობს, განუსაზღვრავს) ადამიანს (ერი, კაცობრიობა) თვითგანვითარების პირობებს: დაიცვას დედამიწისეულ დროსა და სივრცეში ყოველი სოციალური არსისა და მთლიანად დედამიწის თვითგანვითარებაში სოციალურ-ეკონომიკური ბალანსი და სწორედ ამ საქმიანობის ორგანიზაციის ნიადაგზე უზრუნველყოს ასტრო-ფიზიკურ სივრცეში ჩვენი პლანეტის განონასწორებულობის 2000-წლიანი სტაბილურობა, – უზრუნველყოს ამ (დამდეგ) ახალ 2000 წლეულში ადამიანური გონის მე-6 ეტაპობრივ საფეხურზე ამალღება, – ადამიანის **თვითშემეცნება-თვითრეალიზაციის** საქმიანობის ერის დონეზე, მშვიდობიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია-მართვის გზით.

ადამიანის თვითშემეცნება-თვითრეალიზაცია გულისხმობს ამ

ადამიანის მშობლიურ ქვეყანაში, მისი მცირეწლოვანი ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე, საზოგადოებრივი შრომა-დასვენების, კულტურული გართობისა და ყოფის პირობების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ამ უკანასკნელის შედეგად, აისახება რა ახალშობილი ადამიანის სისხლში – გენში მშობლებისაგან გადმოსული და დამახასიათებელი მემკვიდრეობითი ნიშნებით, ქცევის ეროვნულ-კულტურული უნარ-ჩვევები, იქმნება ყოველი ერისათვის საკუთარი კულტურული მემკვიდრეობითი ფასეულობები. ანუ: ქვეყანაში ყოველი კონკრეტული ადამიანის მხრიდან მამისეული (მამა, ძე და სულიწმინდა) ოჯახური მემკვიდრეობითობის დაცვა და თავის ქვეყანაში ყოველი მშობლიურის (მშობლები, ოჯახი, მამული) მიმართ სიყვარულის (გრძნობა, განცდა) წარმოება-კვლავწარმოების სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რაც ორი, საპირისპირო სქესის ადამიანის ქორწინების ორგანიზაციას მოიცავს, არის „ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნა და, ცხადია, ეს ყველაფერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კანონებში (იდეოლოგიაში) უნდა აისახოს.

სისხლი, ზოგადად და მ.შ. ადამიანისა (ინარმოება (ვითარდება) რა მემკვიდრეობითობის გზით კონკრეტული ფლორა-ფაუნისა და ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში, არის კონკრეტული ქვეყანა-ოთხყაროს შემოქმედების სულიერ-მატერიალური საფუძველი; ასევე, კონკრეტული ადამიანის სისხლი, გამოხატავს რა ადგილობრივ სოციუმთან და საკუთარ ერთან მის ნათესაობას, არის ქვეყანაში ეროვნული ერთსულოვნების შემოქმედების განსმაზღვრელი არსი.

ეროვნული ნიშნების ტარება-არტარება, ე.ი. მამულეთის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად თავისთვის დამკვიდრება-არდამკვიდრება არის სრულწლოვანი ადამიანის არჩევანი როგორც პირადი ცხოვრებისათვის, ასევე თავის არასრულწლოვან შთამომავლებთან მიმართებაში; აქ არსებითია ის, რომ ადამიანი ბუნებრივად (შინაგანად) მონოდებულია, რათა დროის მსვლელობაში და დროის შესაბამისად, თანმიმდევრულად, ამ უნარ-ჩვევების პრაქტიკულად გამოცდისა და, რაც მთავარია, მათს შესახებ მეცნიერული ცოდნის გაღრმავების გზით, პერიოდულობით, შეაფასებდეს, განამტკიცებდეს ან/და უარყოფდეს მათ (უნარ-ჩვევები, ტრადიცია) საკუთარი

შეხედულებისამებრ. ქართული ეროვნული უნარ-ჩვევები, რომლებიც ოდითგან დღემდე ყალიბდებოდა ზემოხსენებული გზით, ანუ პირადი შეხედულებისამებრ და – ქრისტიანულ-მართმადიდებლური რელიგიური ცნობიერების ბაზაზე, ამ ახალ ორიენტაციულ-შიაც იგივე, ე.ი. ტრადიციული გზით, მაგრამ უკვე „ლაზარეში“ მეცნიერული თვალსაზრისით ახსნილი სოციალური მოთხოვნების (არა მხოლოდ რწმენის) შესაბამისად (ე.ი. ეროვნულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით) განვითარდება!

ქვეყანაში ეროვნული გენის შენარჩუნება ქართველისათვის დედიტა და მამით ქართველობას გულისხმობს; ხოლო შერეული ქორწინების შემთხვევაში კი იგი შთამომავლების მამულეთში გაზრდასა და აღზრდას მოითხოვს; მემკვიდრეობითობა ადამიანი-პიროვნებისაგან მოითხოვს ქვეყანა-მამულეთის (ამ ფიზიკური სხეულის) შემეცნება-დაუფლება-დაპატრონებას – სამშობლოს მიმართ პირადი უფლება-მოვალეობის ბალანსირების უნარ-ჩვევების დაუფლებას.

საქართველო-ოთხყაროში სახელმწიფოებრივი სისტემის განახლებასთან დაკავშირებით, „ლაზარეში“ გამოიკვეთება იმის აუცილებლობა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერული თეორიადეოლოგიაში არამატერიალისტური ფასეულობების წარმოება პრიორიტეტული მიმართულებაა; – რომ აქცენტირებული ხდება თვითშემეცნების დროის სწორად გამოყენება და, კერძოდ, მოზარდების – გოგონების, – ბიჭების სოციალური დანიშნულების შესაბამისად და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა-სწავლება; ქორწინების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საქმეში ქალიშვილობის ინსტიტუტის, როგორც ტრადიციისა და, ახლა უკვე, როგორც „ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნის, აქცენტირების, (ე.ი. სქესის გადაგვარებისა და, ე.წ. „სექსის თავისუფლების“ დაგმობის), აუცილებლობა; ქალიშვილობის ინსტიტუტის, როგორც მოზარდების,

1 ახსნა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ცნობიერებაში დღემდე დამარხული იმ საიდუმლოსი, რასაც გულისხმობს ბიბლიური მცნება – „დღემდე მეორედ მოსვლისა“ (მეორედ მოსვლის მოლოდინი) და, რაც საფუძვლად უნდა დაედოს დღეს ქართული ეროვნული იდეოლოგიის ახალი სიტყვის შესაბამისად მეცნიერულ დასაბუთებულობას, იხილეთ ახალ სიტყვაში, (- ე.ი. „ლაზარე“-ში); იხ. აკაკი ჯორჯაძე, „ეროვნული იდეის შესახებ“, გამოქვეყნებული გაზეთში „ძველი-ახალი სიტყვა“ (№ 13-14 (143) 2012).

ასევე ზოგადად ადამიანების სულიერი განვითარების საქმიანობის, მისი, როგორც ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობების, ამასთან, ჯანდაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლიობის საფუძვლის, სახელმწიფოებრივად ორგანიზების აუცილებლობა.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის განახლების პროტენციალი, (სათანადო სულიერი ენერჯის ბაზის არსებობა) ფიზიკურად (ქმედებებით), ოფიციალური (დოკუმენტური) ფორმით გამოხატული უნდა იქნეს მოსახლეობის ზრდასრული ნაწილის ნახევარზე მეტის მხრიდან, ქვეყნის დამოუკიდებელი თვითგანვითარების ეროვნულ-პოლიტიკურ ნებაში; ეროვნული ნების გამოხატვის საქმეში ფორმისა და შინაარსის ერთიანობის დაცვა – „ლაზარეს“ კონკრეტული სოციალური მოთხოვნა და ასტრო-ფიზიკური პროცესებითაა გაპირობებული:

„ლაზარეს“ სოციალური კანონზომიერებითაა განსაზღვრული ახალ 2000-წლეულში გარდამავალ პერიოდში, ის დრო-ვადა, რომელიც უნდა დაიცვას რომელიღაც მოცემული ერის ქვეყანამ (დაწყებული საქართველოდან და, შემდგომ – თანმიმდევრულობით ჩრდილოეთის მიმართულებით ჩვენს კონტინენტზე და შემდეგ სხვა ქვეყნები), საიმისოდ, რომ დააფიქსიროს თავის ტერიტორიაზე უარყოფითის გამანეიტრალებელი დადებითი, იგივე ეროვნული, სოციალური ენერჯის სალდოს ფიზიკურად ფლობა; ანუ, განსაზღვრულია ის დრო, როდესაც მყისიერად ხდება (მოხდება) ამგვარად ფორმირებული სალდოს გადასვლა და ასახვა ამ მოცემული ქვეყნის მიმდებარე ატმოსფეროში; რამეთუ სწორედ აქ, ატმოსფეროში, სადაც ამ დროისათვის ასევე კანონზომიერად თავს იყრის ასტრო-ფიზიკური წარმომავლობის სხვადასხვა სულიერ ენერჯიათა ძალები, ამ უკანასკნელთან რეაგირების კვალობაზე ეს გადასული სულიერი ფიზიკური ენერჯის ძალა (დადებითი სალდო) იწვევს ამ მოცემული ქვეყნისა და, ნაწილობრივ, ასევე, მისი მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიებზეც დადებით ზეგავლენას! ამგვარი სალდო, (ე.ი. ქვეყანაში ანტიეროვნული ენერჯის ძალებთან შედარებით, ეროვნული ენერჯის ძალების სიჭარბე), თავად ამ ქვეყნის (ამჯერად, საქართველოს) ტერიტორიაზე – ვლინდება დადებითადვე; – ვლინდება იგი

1 აღნიშნული სალდოს ფორმირებისა და ატმოსფეროში გადასვლის პროცესი განხილული გვაქვს ადრეც (ჟ. „ეკონომიკა“ №7-8, 2011. გვ. 32).

სასიცოცხლო პირობების, უფრო ზუსტად, – განონასწორებული ატმოსფერული, გეოლოგიური, გეოგრაფიული სტიქიური პროცესების მსვლელობის (ბუნებრივი პირობების სტაბილურობა) სახით.

მაგრამ, თუ კი სალდო – აღნიშნული კონკრეტული ქვეყნიდან ატმოსფეროში მყისიერად გადასული სოციალური ენერგია – უარყოფითია (არაეროვნულია), მაშინ, სტაბილურობა ირღვევა; ანუ სტიქიური ენერგიების ახლა უკვე, უარყოფითი ნაკადები, ამ ქვეყნისა თუ მის მიმდებარე ტერიტორიებზე იმძლავრებს; – იქმნება არასასიცოცხლო ხასიათისა და, ცხადია შესაძლებელია, გამანადგურებელიც, სტიქიური ენერგიების ნაკადები. აქედან გამომდინარე, საქართველოში, ამ ახალი 2000-წლეულის დამდეგს, თუ კი ფიზიკურად შენარჩუნებულია დადებითი, ე.ი. ეროვნული, ენერგიის სალდო და, თუ კი ეს უკანასკნელი სახელმწიფოებრივი იურიდიული ფორმით იქნება გამოხატულ-დაფიქსირებული დროულად (ახალ დროში გარდამავალი პერიოდის ფარგლებში), მაშინ ატმოსფერული კანონზომიერებიდან გამომდინარე, შეიქმნება ჩვენს ქვეყანაში სასიცოცხლო, ე.ი. თვითგანვითარების გახანგრძლივებისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობები, – მხოლოდ ასეთ პირობებში (დადებითი სალდოს არსებობის ფიზიკურად და ფორმალურობით გამოხატული ფაქტის ატმოსფეროში დაფიქსირების კვალობაზე) შეიქმნება ქვეყანაში სტაბილური პირობები თვითგანვითარების გახანგრძლივების სახელმწიფოებრივად ორგანიზებისათვის.

- максимизация денежного потока в условиях риска CFAR;
- максимизация ожидаемой чистой текущей стоимости инвестиций;
- минимизация ожидаемого срока завершения проекта (его этапов);
- максимизация коэффициента ожидаемого чистого дисконтированного дохода, приходящегося на единицу ожидаемых приведенных инвестиционных затрат кр ;
- максимизация чистой текущей стоимости инвестиций в условиях риска NPV at Risk;
- минимизация ожидаемых потерь EL;
- минимизация коэффициента ожидаемых потерь ELR.

Кроме того, в литературе по риск-менеджменту представлены также критерии выбора эффективных инвестиционных вариантов, представленные абсолютным и относительным стохастическим доминированием одних инвестиционных вариантов над другими.

В основу вычисления величин EAR, CFAR и NPV at Risk положен принцип оценки предельной характеристики риска VaR.

Для оценки степени воздействия факторов риска на прибыль компании служит показатель Earnings-at-Risk (EaR) - одна из ключевых мер корпоративного риска. Earnings-at-Risk - это максимальная величина, на которую может отклониться прибыль от некоторого ожидаемого значения в течение расчетного периода с заданной вероятностью.

Cash-Flow-at-Risk (CFAR)- это максимальная величина, на которую может отклониться размер генерируемых проектом (портфелем проектов) денежных средств от некоторого ожидаемого значения в течение расчетного периода с заданной доверительной вероятностью.

В качестве расчетного периода в ходе оценки показателей EAR, CFAR используют, как правило, месячный, квартальный или годовой период. Показатель чистой прибыли с учетом риска, приходящейся на одну акцию, используется крупнейшей промышленной компани-

ей Du Pont в качестве основного интегрального показателя инвестиционного риска. При управлении риском компания использует 2-а основных подхода

- подход «сверху вниз»;
- подход «снизу вверх».

Методика «сверху вниз» предполагает ограничение рисков путем установления определенного денежного лимита, который затем распределяется между отдельными факторами риска, с которыми сталкивается компания.

Методика «снизу вверх» основана на расчете показателя EAR для каждой группы факторов риска в отдельности, например для процентных, товарных, валютных и др. факторов. Затем вычисляется интегральная оценка риска. В результате полученной интегральной оценки руководство компании решает вопросы его приемлемости риска и балансировки. Показатель EAR для компании служит базой в составлении стратегии и программы управления рисками.

Однако, на наш взгляд, показатели EAR и CFAR не могут быть рекомендованы к использованию в управлении ИР, поскольку не учитывают профиль инвестиционных затрат компании в осуществляемые инновационные проекты. Это приводит к искажению показателей эффективности инвестиционных вариантов. Например, профиль риска инвестиционных затрат для инновационных проектов создания новых препаратов в фармацевтической промышленной компании определяется совокупным воздействием инновационных факторов риска и рассмотрен в работах.

Финансовый показатель чистой текущей стоимости, измеряющий величину абсолютного эффекта от инвестиций и учитывающий фактор времени, риски и инфляцию через ставку дисконтирования, на наш взгляд, наиболее точно отражает эффективность инвестиций в сравнении со сроком окупаемости, внутренней нормой доходности и рядом других финансовых показателей. Однако стоит заметить, что для корректной оценки в условиях неопределенности и учета возможной управленческой гибкости необходимо в значении рассматриваемого показателя учесть также стоимость реальных опционов, имеющих место в проектной деятельности компании.

Показатели ожидаемой чистой текущей стоимости инвестиций и минимизации ожидаемого срока завершения проекта (его этапов) основаны на вычислении средних величин и вряд ли подходят для выбора инвестиционных альтернатив в условиях риска. Например, варианты с примерно одинаковыми значениями ожидаемой NPV, но с разной волатильностью будут тождественны по критерию ожидаемой чистой текущей стоимости инвестиций. Однако акционеры и инвесторы в этом случае, скорее всего, предпочтут вариант с меньшей волатильностью.

Шемякиной и Петровым предложен оригинальный критерий выбора инвестиционных решений, основанный на максимизации коэффициента ожидаемого чистого дисконтированного дохода, приходящегося на единицу приведенных инвестиционных затрат  $k_p$ . Причем приведенные инвестиционные затраты оцениваются для случая неудачи проекта. Данный показатель вычисляется по формуле:

$$k_p = \frac{NPV \cdot P}{k_{np} \cdot (1-p) \cdot (1-k_{oa})}$$

где:  $P$  - вероятность успеха инновационного проекта;

$NPV$  - ожидаемая чистая текущая стоимость проекта в случае его успеха;

$k_{np}$  - приведенные инвестиционные затраты по проекту;

$k_{oa}$  - коэффициент остаточной ценности активов проекта в случае его неудачи. Таким образом, показатель эффективности  $k_p$ , по мнению авторов, определяет

величину чистого дисконтированного ожидаемого дохода на единицу возможно потерянных инвестиций.

Модель на наш взгляд, может использоваться при выборе альтернативных инвестиционных решений лишь в первом грубом приближении, например, если один из вариантов будет значительно предпочтительнее перед остальными вариантами. Это является следствием фактической замены вероятностных распределений чистой текущей стоимости и инвестиционных затрат по проекту простейшими биномиальными распределениями. Кроме того, критерий не дает ответа на следующий вопрос, волнующий, в первую очередь, акционеров и

кредиторов компании: «Каково процентное соотношение числа случаев (сценариев развития проекта) с отрицательным значением NPV к числу случаев с положительным значением данного показателя?».

Интересный критерий максимизации чистой текущей стоимости инвестиций в условиях риска NPV at Risk предложен в работах Кэрона, Фумэгэлли и Ригэмонта. Ими исследована проблема оценки риска и балансировки портфеля контрактных проектов. Применяемая ими мера риска базируется на показателе VAR и отражает минимальную величину чистой текущей стоимости инвестиций в портфель проектов (NPV), наблюдаемую с 95% вероятностью. Балансировка портфеля проектов достигается установлением приемлемого для акционеров компании соответствия между риском и доходностью инвестиций. В качестве меры доходности инвестиций ими предлагается использовать показатель ожидаемого значения чистой текущей стоимости инвестиций. Оценка NPV at Risk отдельных проектов в портфеле основана на построении модели денежных потоков проектов, определении факторов риска и их вероятностных распределений. Далее используется стандартная процедура имитационного моделирования Монте-Карло, используя которую, нетрудно получить выборочные функции распределения NPV проектов, а также оценить их риск и ожидаемое значение. Таким образом, по сути дела Кэронам, Фумэгэлли и Ригэмонта предлагается использовать следующий критерий выбора инвестиционных вариантов - минимизация величины риска, измеряемого в виде NPV at Risk, приходящегося на единицу ожидаемого NPV.

## ბუღალტრული აღრიცხვის ფსიქოლოგიური ასპექტები

ნინო გრიგოლაია

თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი სრული პროფესორი

ცნობილია, რომ ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ფუნქციონალურ გამოყენებით კონკრეტულ-ეკონომიკურ მეცნიერებას. ამ მეცნიერებაში ადამიანის ფაქტორი თამაშობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს. ბუღალტრულ აღრიცხვასთან მიმართებაში, ეს ნიშნავს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში არსებული ინფორმაციის საიმედოობის, სიზუსტის და სისრულის შეფასება შეუძლებელია ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.

ჭფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ადამიანების ცალკეული ჯგუფების ინტერესების გამოყოფას, მივყავართ შედარებით ახალ ასპექტამდე ბუღალტრულ აღრიცხვაში- ამ სახის საქმიანობის ფსიქოლოგიურ კომპონენტამდე. აქ ანგარიშგების როლი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

პირველად დოკუმენტებში, რეგისტრებში, ანგარიშგებაში მოცემული აღრიცხვის ინფორმაცია, განკუთვნილი ფირმის მართვისა და კონტროლისათვის, ყოველთვის ასახავს სამეურნეო პროცესში მონაწილეთა ინტერესებს. ეს ინტერესები ხშირად არა მარტო შარემთხვევა ერთმანეთს, არამედ შეიძლება იყოს გარკვეული კონფლიქტიც (აქციონერები და კრედიტორები, საგადასახადო სამსახური და ადმინისტრაცია, კომერციული ორგანიზაციები, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირები და ინვესტორები და სხვა). ამ ჯგუფების ფსიქოლოგია გარკვეულწილად განსაზღვრავს აღრიცხვაში გამოყენებულ მეთოდოლოგიურ ხერხებს.

საქართველოში ბოლო პერიოდამდე აღრიცხვა-ანალიტიკური საქმიანობის ფსიქოლოგიურ მხარეზე არ ამახვილებენ ყურადღებას. საბჭოურ პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მკაცრი რეგულირებისას, ამ პრობლემის დასმის აუცილებლობა არ არსებობდა. აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემა აგებული იყო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. აღრიცხვის წარ-

## აიხნასი, მანუჩაიანი, მარკაბიანი

მოების და ანგარიშგების წარდგენის მკაცრი რეგლამენტაცია არ ტოვებდა ვარიანტების საშუალებას და შესაბამისად, გამორიცხავდა კონკრეტული მომხმარებლისათვის (ან მომხმარებლის ტიპისათვის) ინფორმაციის ორიენტაციის შესაძლებლობას.

დასავლეთის ლიტერატურაში ამ პრობლემის დამუშავება დაიწყო შედარებით ახალაზნანს. ეს გამონვეული იყო გადაწყვეტილების მიღების თეორიის ფსიქოლოგიური ასპექტების მძაფრი განვითარებით, რომელსაც გარკვეული პირობების გათვალისწინებით შეიძლება ვუნოდოთ “ინფორმაციის წარმოება ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით”.

ჰპირველი მონოგრაფიები, რომელიც განიხილავდა ბუღალტრული აღრიცხვის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, გამოჩნდა ოცი წლის წინ და იყო განპირობებული მმართველობითი აღრიცხვის თეორიის და პრაქტიკის განვითარებით. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მკვლევარებმა, როგორებიცაა უ. ბრუნსი, ე.კაპლანი, მ. დრაივერი, ე. ჰოპვუდი და სხვები. აღრიცხვა-ანალიტიკური საქმიანობის ამ მიმართულების მიმართ, ყურადღების გამახვილება შედარებით გვიან გამონვეული იყო მრავალი მიზეზით. ცხადია, ერთერთი ძირითადი მიზეზი იყო ბუღალტრული აღრიცხვის ფსიქოლოგიური კომპონენტების ფორმულირების შეუძლებლობა. ბუღალტრები, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი ინფორმაციის გამოყენების და მომზადების ფსიქოლოგიური ასპექტების გამოყენების რეკომენდაციებისადმი, რადგანაც ვერ ხედავენ, ამ რეკომენდაციის პრაქტიკაში გამოყენების, ასე თუ ისე ნათლად რეგლამენტირებულ მეთოდებს.

აღრიცხვა-ანალიტიკური სააქმიანობის ფსიქოლოგიური კომპონენტების პრობლემა განხილულ უნდა იქნეს სხვადასხვა ასპექტებით:

- აღრიცხვა-ანალიტიკური მონაცემების შემეცნების სირთულის პოზიციიდან;
  - მონაცემების წყაროების პოზიციიდან;
  - ინფორმაციის მომხმარებლების პოზიციიდან;
  - პიროვნების ფსიქოლოგიური ტიპის გამოყოფის პოზიციიდან;
- კომერციული ორგანიზაციის მართვის პოზიციიდან ბუღალ-

ტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად სასარგებლო ინფორმაციის წარდგენა. რამდენადაც ინფორმაციის მომხმარებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, ამასთან მრავალი ნიშნით (სოციალური სტატუსი, ადგილი მმართველობით იერარქიაში, კომერციული ორგანიზაციისადმი ოფიციალური კავშირი და სხვა). ნათელია, რომ თითოეულ მათგანს “სასარგებლოს” თავისი კრიტერიუმი გააჩნია და ელოდება, რომ წარმოდგენილი ანგარიშების ინფორმაციას ექნება ის ინფორმაციულობა, რომელიც საინტერესოა სწორედ მისთვის. ამასთან ეს ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, რამდენადაც კომერციული ორგანიზაციის საქმიანობის დაცემის პერიოდში მმართველობითი პერსონალი ნაკლებად არის დაინტერესებული ამ ინფორმაციის აფიშირებით, მაჩვენებლების დინამიკაში გამოქვეყნებით. სრულიად განსხვავებულია ამ შემთხვევაში ინვესტორებისა და კრედიტორების პოზიცია და ინტერესები.

ერთ-ერთი საკვანძო მომენტი ბუღალტრული აღრიცხვის ფსიქოლოგიური კომპონენტების გაგებისა არის ცნებების “შეტყობინების” და “ინფორმაციის” გამიჯვნა.

“შეტყობინების” ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი მონაცემი (ინფორმაცია), რომელიც ახასიათებს სამეურნეო პროცესებს. მონაცემები ფიქსირდება დოკუმენტებში, ჟურნალებში, დისკებში და სხვა. ისინი ინდიფერენტულნი არიან როგორც წყაროსადმი, ასევე მათ მომხმარებლისადმი. “ინფორმაცია”-ესაა ცნობა, რომელიც ამცირებს იმ სფეროს განუზღვრელობას, რომელსაც ის ეკუთვნის. ინფორმაცია არ არსებობს პერმანენტულ მდგომარეობაში და ის წარმოიქმნება ყოველ ჯერზე, როცა მომხმარებელი გამოიყენებს მონაცემებს. იყენებს რა ერთსა და იმავე მონაცემებს, მომხმარებლები, ფლობენ რა მომზადების, ინფორმირების, გამოცდილების სხვადასხვა დონეს, ლებულობენ სხვადასხვა ინფორმაციას. ე.ი. რაღაც ახალს, მათთვის სასარგებლო მონაცემებს. შესაბამისად, ინფორმაცია ფორმირდება და გამოიხატება მონაცემების და მათ მომხმარებლებებს შორის დამოკიდებულებით და მისი სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო ნიშნების და შეტყობინების რაოდენობაზე, უფრო მეტად იმ ინფორმაციის ბანკზე, რომელსაც ფლობს

მომხმარებელი. ამასთან შეტყობინების ინფორმაციულობა უკუპროპორციულია მისი წარმოქმნის საანდობის. (ასე, მაგ. შეტყობინება 10 000 ლარის დანაკლისის შესახებ, გამოვლენილი ინვენტარიზაციის პროცესში, უფრო ინფორმატიულია ვიდრე რიგითი შეტყობინება, 100 000 ლარის საქონლის გეგმიური მოწოდების შესახებ).

უშუალოდ დრომდე საყოველთაოდ მიღებული იყო მოსაზრება, რომ ბუღალტრული მონაცემები წარმოადგენდა ობიექტურს, ზუსტს, მიუკერძოებელს, ნათელ ინტერპრეტაციას და სხვა. ეს განიხილება როგორც ბუღალტერიის მთავარ უპირატესობა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის საბაზროსკენ სვლის შესაბამისად ამ თეზისის ქვეყნარტება სულ უფრო სადაო ხდება. ახალი ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ” აძლევს ბუღალტრებს შესაძლებლობას მოხდინონ გავლენა აღრიცხვის მაჩვენებლების შემადგენლობასა და შეფასებებზე. მათ შორის კომერციული ორგანიზაციის ბუღალტრის შეხედულებით შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ფასდება საბრუნავი საშუალებების ლიმიტი, დახარჯული მასალების შეფასების მეთოდები, დგინდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის მეთოდები, საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების შეფასების მეთოდები და ა.შ. ასეთი შეხედულების გამოითქმის დასავლელი სპეციალიტები, მათ შორის, ე. კაპლანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული აღრიცხვის ინფორმაციის ობიექტურობა, დიდი ალბათობით წარმოადგენს მითს.

რათქმაუნდა, საუბარია არა რაღაც მონაცემების წინასწარ განზრახულ ფალსიფიკაციაზე. მომხმარებლების დამოკიდებულება ბუღალტრული მონაცემების მიმართ, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი სენტენციით: “არსებობს კომერციული ორგანიზაციების საქმიანობის აღრიცხვის მრავალრიცხოვანი ობიექტური ინფორმაცია და ბუღალტრის როლი დაიყვანება ინფორმაციის შერჩევასა და მიუკერძოებელ წარდგენაში ბუღალტრული ანგარიშების სახით” - სანყისშივე მცდარია. მონაცემების შერჩევის პროცესი, მათი შეფასება და ჩართვა ანგარიშებაში შეუძლებელია იყოს აბსოლიტურად

მიუკერძოებელი. ჩამოცდილ ბუღალტერს გააჩნია თავისი დასაბუთებული შეხედულება ამა თუ იმ მმართველობით გადანყვეტილებაზე და ცდილობს დაიყვანოს ის ხელმძღვანელამდე ანგარიშგების მონაცემების შერჩევისა და სათანადოდ წარდგენის გზით.

კვიდე ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ბუღალტრული აღრიცხვისა ჩნდება ინფორმაციის მომხმარებლის პოზიციიდან მონაცემების მომზადებაზე დაკვირვების დროს. ჩაგდანყვეტილების მიღების თეორიაში ჩამოყალიბებულია ცნება მონაცემების “შემეცნებითი სირთულის” შესახებ. გამოყოფენ ამ ცნების ორ მახასიათებელს:

1. გამოყენებული მონაცემების მოცულება;
2. პრობლემის შესაძლო გადანყვეტაზე ფოკუსირების ხარისხი.

პირველი მახასიათებელი განსაზღვრავს მონაცემების მოცულობას, რომელიც აუცილებელია მენეჯერისათვის ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად: ერთნი მოითხოვენ მაქსიმალურად შესაძლო მონაცემებს, მეორენი მოითხოვენ შედარებით შეზღუდულ მოცულობის მონაცემებს. მეორე მახასიათებელი განასხვავებს მომხმარებლებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ერთი განსაზღვრული გადანყვეტილების გააზრების და მიღებისათვის და მომხმარებლებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ რთულ, მრავალმხრივ ანალიზს და მრავალი ალტერნატიულიდან საუკეთესოს შერჩევას. შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ მმართველობით პროცესში ქცევის ოთხი ტიპი (ცხრილი):

ტიპი	გამოყენებული მონაცემების მოცულობა	ფოკუსირების ხარისხი
ძლიერი	მინიმალური	ერთი გადანყვეტილება
მოქნილი	მინიმალური	ბევრი ალტერნატიული
იერარქიული	მაქსიმალური	ერთი გადანყვეტილება
ინტეგრირებული	მაქსიმალური	ბევრი ალტერნატიული

ბუღალტრის პოზიციიდან მნიშვნელოვანია მან იცოდეს, რომ მმართველობითი ქცევის განსხვავებული ტიპები არსებობს და ეცა-

დოს განსაზღვროს რომელი მათგანი არის უფრო ახლოს კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. მასზე დაფუძნებით შეიძლება მივიღოთ გადანყვეტილება ინფორმაციის მოცულობის შესახებ, მათი სტრუქტურების ხარისხზე, აგრეგირებაზე და ანალიტიკურობაზე, ალტერნატიული ვარიანტების არსებობაზე, ცალკეული ფაქტების გამოყოფასა და რანჟირებაზე და სხვა. ხელმძღვანელების ფსიქოლოგიის გაგება, “ოქროს” შუალედის მოძებნა და მისი ინფორმაციული უზრუნველყოფა, შეასრულებს მის ანალიტიკური საქმიანობის მოტივატორის როლს და შეადგენს ერთი შეხედვით, მოულოდნელ, მაგრამ ნამდვილად აუცილებელ ამოცანას ბუღალტრისათვის.

კვიდე ერთი ცვლადი ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელიც ახასიათებს ინფორმაციის გენერირების პროცესს არის მენეჯერისა და ბუღალტრის პიროვნების ესა თუ ის ფსიქოლოგიური ტიპი. ეს იდეა ვითარდება ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიცაა კ. იუნგი, ი. ბრიგსმაიერს, ი. კოზელეცკი, ი. ლოპენსი და სხვები. არსებობს სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპები. მართვის პროცესის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფის პრობლემის თვალსაზრისიდან ინტერესს იწვევს შემდეგი ალტერნატიული ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მახასიათებლები: რეაქტიული — აქტიური; რაციონალურობა — ინტუიციურობა, რისკის მიმღები და რისკის უარყოფელი, წარმატების მიღწევისაკენ სწრაფვა — სწრაფვა წარუმატებლობის თვიდან აცილებისკენ.

მენეჯერის ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ტიპისადმი კუთვნილება შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი არაფორმალური შეზღუდვა სააღრიცხვო-ანალიტიკური მონაცემების სტრუქტურისა და შემადგენლობისა. ხელმძღვანელი, რომელიც ხასიათდება პროაქტიური ქმედებებით, საკმაოდ თავისუფლად იქცევა მძიმე სიტუაციაში, როგორც წესი, ისინი გამორჩეული არიან კარგი ლოგიკით, ანალიზისადმი სწრაფვითა და შესაძლებლობით, ამიტომ საჭიროა მოცულობითი, კარგად სტრუქტურირებული ინფორმაცია. მათ არ აშინებთ ანგარიშგებაში მოცემული გადანყვეტილებების ალტერნატიული ვარიანტები, ანალიტიკური გაანგარიშებებისას საკმაოდ რთული ალგორითმების და მეთოდების გამოყენება.

ამრიგად, კომერციული ორგანიზაციის მართვაში მონაწილე



პირების ფსიქოლოგიური მახასიათებლებზე დამოკიდებულია მმართველობით ციკლში საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და წარმოების პროცესი. შესაბამისად ამ პროცესს გააჩნია ფსიქოლოგიური განზომილება. ეს შეუძლებელია შეფასდეს რომელიმე ცალკეული მაჩვენებლით, რამდენადაც ადამიანის ქცევის წინასწარ განსაზღვრა პრინციპში მიუღწეველია.

შეუძლებელია გამოვავლინოთ ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებს ინფორმაციული უზრუნველყოფის ფსიქოლოგიურ კომპონენტს. მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ სხვადასხვა ადამიანები მოიხმარენ და ამზადებენ ინფორმაციას სხვადასხვა მეთოდებით. ბუღალტრული აღრიცხვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება შეუძლებელია განხილული პრობლემის დეტალური დამუშავების გარეშე. თანამშრომლების ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას მივიღოთ ინფორმაცია მართვაში მონაწილე პირთა ფსიქოლოგიური ტიპი შესახებ, იძლევა ბუღალტრული საქმიანობის ეფექტიანობის არსებითი ამაღლების შესაძლებლობას.

**სახელმწიფო შესყიდვების მართვის სრულყოფა ელექტრონული ტენდერების გამოყენებით**

**მურთაზ მალრაძე**  
ე.მ.დ., პროფესორი

**თეიმურაზ გოგნაძე**  
ოსუ დოქტორანტი

ტენდერი (tender) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ვაჭრობას, კონკურსს.<sup>1</sup> სხვადასხვა ქვეყნებში სიტყვები “ტენდერი” და “კონკურსი” ერთი და იგივე მნიშვნელობით აღიქმება. როგორ გაჩნდა ტენდერი? ტენდერების სისტემა?

სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს საზოგადოების სამართლებრივ დაცვას, ნაციონალურ უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, განათლებას და ა.შ., სარგებლობს უფლებით ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველყოფის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებები მათი ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსებით. სახელმწიფო მოხელეებმა საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისათვის მიმართეს ტენდერების ჩატარების პრაქტიკას სახელმწიფო შესყიდვებზე. ტენდერები გვაძლევს საშუალებას ავირჩიოთ მასში მონაწილეებიდან ისეთები, რომლებიც საუკეთესო ფასებით, ხარისხიანი საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფს დამკვეთ ორგანიზაციას.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად, 2010 წლის 1 დეკემბრიდან ტენდერები მხოლოდ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ტარდება.<sup>2</sup>

რეფორმის მიზანი: სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამარტივება, ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების მინიმიზაცია, სახელმწიფო სახსრების გამჭვირვალე ხარჯვის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცესში კონკურენციის გაზ-

1 <http://nesmeeva.narod.ru/direqtor/tender.htm>, Анна Несмеєва, март 2005 г

2 [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)-სიახლეები(პირველი დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ერთიანი ელექტრონული სისტემით ჩატარდება. 30 ნოემბერი 2010 წელი).

რდა, სატენდერო პროცედურებში სუბიექტური გადაწყვეტილების მაქსიმალურად აღმოფხვრა.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შედეგად:

ა). გაუქმდა სატენდერო მოსაკრებელი და 200 ლარის ნაცვლად ტენდერში მონაწილეობის საფასური 50 ლარი გახდა. მნიშვნელოვნად მცირდება დროის, მატერიალური რესურსებისა და სხვა ლოჯისტიკური ხარჯები. აღმოიფხვრა ტენდერში მონაწილე კომპანიების (განსაკუთრებით რეგიონებში) გეოგრაფიულ უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბ). სატენდერო წინადადებების წარდგენისას აღარაა სავალდებულო ყველა მონაწილის მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან (საგადასახადო ორგანოები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სასამართლო და სხვ.) შესაბამისი ცნობების წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება ექნება მხოლოდ იმ პრეტენდენტს, რომელთანაც უნდა დაიდოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

გ). პრეტენდენტების შეფასება ხდება მხოლოდ ობიექტური და თვლადი კრიტერიუმით - ფასის მიხედვით, სხვა კრიტერიუმები (ხარისხი, მინოდების ვადა, გამოცდილება და სხვა) უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს.

დ). ხდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების მინიმალური სავალდებულო ზღვარის სულ ცოტა 20-ჯერ დაწევა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მაქსიმალურად გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში.

ე). იქმნება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭო, რომლის მეშვეობით მოხდება სამოქალაქო საზოგადოების პარიტიტული ჩართვა შესყიდვებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტაში.

რა თქმა უნდა ტენდერების ელექტრონული ფორმით ჩატარება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც ენიჭება ფასს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდში ფასი არაა ერთადერთი კრიტერიუმი და ყველა მათგანს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რასაც ვერ ვიტყვით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული

სისტემით ჩატარების შემთხვევებში. ასევე ჩვენს მიერ ტენდერების ჩასატარებლად შემოთავაზებული სისტემა გამოსადეგია არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სუბიექტებისათვის, არამედ ნებისმიერი საკუთრების ფორმის წარმოება-დანესებულებებისათვის.

ჩვენი მიზანია შემსყიდველ ორგანიზაციებში ტენდერების ჩატარება მოხდეს ელექტრონული ფორმით ჩვენს მიერ შემუშავებული ელექტრონული სისტემის საშუალებით, ხოლო ტენდერების შედეგები და სატენდერო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფორმით, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს უშუალოდ თავისი მოვალეობა-კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი წარმოება-ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

ჭორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ხდება შესყიდვების გეგმის პროექტის შედგენა საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენს მიერ შემუშავებული ელექტრონული შესყიდვების სისტემა უზრუნველყოფს საკმარის გამჭვირვალობას, ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისას ობიექტურობის, სამართლიანობის დაცვას და, რაც მთავარია, დამკვეთმა მომწოდებლისგან მიიღოს მისთვის მისაღებ ფასში ხარისხიანი საქონელი ან მომსახურება.

შემსყიდველ ორგანიზაციებსა და საწარმოებში ტენდერის ჩასატარებლად ინფორმაციის დროული და ხარისხიანი მომზადება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტენდერის ჩატარების ხარისხზე. ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა<sup>1</sup>:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესაძენად საჭირო განაცხადის ელექტრონული ფორმა (**ფორმა-1 ტდ**), მისი შევსებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის მეთოდიკა;

2. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელო-

<sup>1</sup> გოგნაძე თ. სატენდერო დავების ელექტრონული ფორმირება. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", 2011, №6.

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი და მისი გამოყენების ინსტრუქცია;

3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა **Access 2007** საფუძველზე- განაცხადების მონაცემთა ბაზა, რომელიც აუცილებელია სატენდერო დავალების ავტომატიზებული ფორმირებისთვის;

4. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შესყიდვების განყოფილების ვებ-გვერდი.

**ფორმა-1ტდ** წარმოადგენს მონაცემთა ბაზის “მატერიალურ-ტექნიკური რესურსები”-ს **Access**-ის საბაზო ცხრილს და იგი შევსებული უნდა იქნეს **Web-ზე** განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით.

ფორმა-1ტდ

№	კლასი	ქმიკლასი	მარკა	ზომის ერთეული	რაოდენობა	არჩეულია შესაქმნად	უკვე შექმნილია	ქვედანაყოფი	მოთხოვნი	მოთხოვნის თარიღი	პასუხისმგ. პირი	უკ	ლირებულება	მოთხოვნის თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

**ფორმა-1ტდ**-ის შევსებისათვის აუცილებელია ვისარგებლოთ **Web-გვერდზე** განთავსებული დანართი №1-ით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №7 ბრძანებით 2010 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესით ანუ ესაა ევროკავშირის **EC N213/2008** დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ცნობარი (**Common Procurement Vocabulary-CPV**), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.


შესყიდვების განყოფილება  $A_1, A_2, \dots, A_n$  ქვედანაყოფებს

(**ფაკულტეტებს**, ინსტიტუტებს, სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს) შესავსებად უგზავნის **ფორმა-1ტდ**-ს ონლაინ რეჟიმში. ავსებენ რა **Web-გვერდზე** განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით **ფორმა-1ტდ**-ს ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ხელმძღვანერის შემდეგ უგზავნიან მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი კი შესყიდვების განყოფილებას. შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი უკვე ყველა ქვედანაყოფიდან მიღებულ მოთხოვნებს იხილავს ორგანიზაციის მენეჯერთან ერთად თუ როგორ უნდა მოხდეს განაცხადებში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. აქ ხელმძღვანელებში იგულისხმება ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც დღესდღეობით ყველაზე უსაფრთხოა და ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ კომუნიკაციებში ინფორმაციის გადაცემისას, გამოირჩევა საიმედოობის მაღალი ხარისხით.

ორგანიზაციის მენეჯერი ახდენს ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების კორექტირებას. ქვედანაყოფების სპეციფიკიდან და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მენეჯერი (იგულისხმება ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მის მიერ არჩეული რამდენიმე ექსპერტის ჯგუფი) მოთხოვნებში მითითებულ რაოდენობას აკმაყოფილებს მთლიანად, აკმაყოფილებს ნაწილობრივ ან არ აკმაყოფილებს. ამისათვის ცხრილი **Request**-ის შესაბამის სვეტში ჩაინერება „0“ (დაკვეთა არ არის დაკმაყოფილებული), „1“- დაკვეთა ამორჩეულია დასაკმაყოფილებლად, „2“-დაკვეთა სრულად არის დაკმაყოფილებული. ყველა სტრუქტურული ერთეულიდან მიღებული დაკვეთების მონაცემთა ბაზაში “მატერიალურ-ტექნიკური რესურსები” ჩამატების შემდეგ უნდა დაიბეჭდოს შემსყიდველი ორგანიზაციის ქვედანაყოფებიდან მიღებული დაკვეთების სრული სია.

სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულ შეკვეთათა რაოდენობის დაზუსტების შემდეგ ფორმირდება სატენდერო დავალება. შემსყიდველი ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად და სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების თარიღებთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ტენდერით განსაზოვრებული შესყიდვებისათვის ჩვენ შევქმენით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდი

www.spatest.tsu.ge, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ტენდერის გამოცხადებისა და მიმდინარეობის შესახებ.<sup>1</sup>



ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. განაცხადი შექმნაზე;
2. სატენდერო განცხადება;
3. სატენდერო დოკუმენტაცია;
4. თსუ სტრუქტურა;
5. თსუ-კლასიფიკატორი;
6. CPV კოდები;
7. შემოთავაზება;
8. მომწოდებელი.

მენიუში "განაცხადი შექმნაზე" მოთავსებულია ინფორმაცია, რომელშიც საფინანსო დეპარტამენტი თხოვნით მიმართავს შესაბამის პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებს უზრუნველყონ ტენდერის გამოსაცხადებლად საჭირო ინფორმაციის მომზადება და წარმოდგენა. სწორედ ამის შემდეგ ხდება ფორმა-1ტდ-ის

<sup>1</sup> გოგნაძე თ. ონლაინ რეჟიმში სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ფუნქციონირების საკითხისთვის. ჟურნალი "ეკონომიკა", 2011, №11-12.

შევსება და შესყიდვების განყოფილებაში გადაცემა, ხოლო მენიუში "სატენდერო განცხადება" უნდა მიუთითოთ:

1. ტენდერის ტიპი;
2. სატენდერო განცხადების ნომერი;
3. ტენდერის გამოსაცხადების თარიღი;
4. სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღი და დრო;
5. სატენდერო წინადადებების მიღების დამთავრების თარიღი და დრო;
6. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება(ლარებში) დღგ-ს ჩათვლით;
7. შესყიდვის კატეგორია CPV კოდების მითითებით;
8. ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია. ჩვენს შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1. იურიდიული პირისათვის:
  - ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - ბ) ცნობა მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან იმის შესახებ, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
  - გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან იმის შესახებ, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
2. ფიზიკური პირისათვის:
  - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ბ) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უფლებამოსილი ორგანოდან;
  - გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან მასზედ, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რომლებსაც ფასების ცხრილსაც უწოდებენ მიენოდება მწარმოებელი ქვეყნის მითითების გარეშე.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ (ჩვენს მაგალითზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) თსუ შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდზე, მენიუს ჩამონათვალში "სატენდერო დოკუმენტაცია" უნდა ატვირთოს შემდეგი სახის სატენდერო დოკუმენტაცია:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა(საბანკო გარანტია)
3. აფიდავიტი


სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად, დართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაში (საბანკო გარანტია) ასახულია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გარანტორი ბანკი (გარანტორები) ვალდებულია ღებულობს იმის შესახებ, რომ თუ მისი გარანტიის ქვეშ მყოფმა მომწოდებელმა არ შეასრულა შემსყიდველ ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველ ორგანიზაციას საგარანტო ხელშეკრულებაში მითითებული თანხა.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი საჭირო

ინფორმაციას აგზავნის მისთვის სპეციალურად გამოყოფილ მისამართზე, რომელიც ტენდერის გამოცხადებისას მითითებულია ვებ-გვერდზე. ტენდერის მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი პრეტენდენტისაგან მიღებულ ე.წ. ფასების ცხრილიდან იღებს ინფორმაციას ისე, რომ არ ჩანდეს ტენდერში მონაწილის ვინაობის მიმანიშნებელი რაიმე ინფორმაცია, ანიჭებს მას გარკვეულ ნომერს და ამ დოკუმენტს გამოიტანს სატენდერო კომისიის წევრთა წინაშე შეფასებისათვის უკვე სატენდერო განცხადებაში მითითებულ დროის მომენტისათვის. უნდა ავლნიშნოთ, რომ სატენდერო კომისიის თითოეული წევრი ტენდერის მიმდინარეობის დროს იმყოფება თავის ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე. ტენდერის მიმდინარეობის სქემა ასე შეიძლება გამოვსახოთ:



ტენდერის ნორმალურად ჩასატარებლად კომისიის თვითოეული წევრისათვის აუცილებელია შემდეგი კომპიუტერული ტექნიკა:  
 1. პროცესორი HP E7300 (Intel Core i7-2600, CPU 3.4 GHz, RAM 4 GB, HDD 1 TB

2. მონიტორი HP Compaq LA 2306x
3. უწყვეტი კვების წყარო UPS-INTEX IT-650 VA
4. პრინტერი HP LaserJet pro M1132 MFP (Print, Copy, Scan) ვებგვერდისა და პროგრამებისათვის:  
სერვერი HP ProLiant NL150 Dual Core Intel Xeon Cpu 3.0 GHz, RAM 4 GB, HDD 600 GB;

ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზებისათვის არსებობს მონაცემთა ბაზების სერვერი, რომელზეც მოთავსებული პროგრამები შესრულებულია Microsoft Access 2007-ის საფუძველზე. ტენდერში მონაწილე კომისიის წევრებსა და დამკვირვებლებს ადმინისტრატორი უზრუნველყოფს თავიანთი User-ებით და შესაბამისი Password-ებით, რომლითაც უზრუნველყოფილია ბაზებთან სამუშაოდ წვდომა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდის სატესტო ვერსია [www.spatest.tsu.ge](http://www.spatest.tsu.ge) განთავსებულია თსუ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის HP ProLiant NL150 სერვერზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სერვერ HP ProLiant NL150-ზე და ტენდერში მონაწილეთა კომპიუტერებზე დაინსტალირებული უნდა იყოს:


- 1). Microsoft SQL Server 2008 ;
- 2). Microsoft office Word 2007;
- 3). Microsoft office Access 2007;
- 4). Microsoft office Excel 2007
- 5). Equipments-მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მონაცემთა ბაზა;
- 6). Baza1-ტენდერის მონაცემთა ბაზა.

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს განახლებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ენიჭება ფასს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდში ფასი არაა ერთადერთი კრიტერიუმი.<sup>1</sup> სატენდერო კომისიის წევრები თავიდანვე თანხ-

<sup>1</sup> გოგნაძე თ. ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების სრულყოფის საკითხისათვის. ურნალი "ახალი ეკონომისტი", 2012, №2.

მდებიან თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს ამა თუ იმ სატენდერო წინადადების შეფასება. მაგალითად: ფასი, ხარისხი, გარანტია, გადახდის პირობები და ვადები, გამოცდილება და ა.შ. სატენდერო წინადადებაში მითითებული ტენდერის ჩატარების თარიღის დადგომისათვის კომისიის წევრები პირველად აფასებენ კრიტერიუმს ტენდერის მონაცემთა ბაზა Baza1-ის შესაბამისი

კრიტერიუმის შეფასების პუნქტის შევსების შემდეგ:



აქ ეკრანზე ჩნდება კრიტერიუმები და კომისიის ყველა წევრი უნერს მას შეფასებას (0-დან 9-ის ჩათვლით). შეფასებები ინახება კრიტერიუმის შეფასებების ცხრილში. მას შემდეგ, რაც ყველა კომისიის წევრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სამუშაო ადგილებიდან ყველა კრიტერიუმებზე დააფიქსირებს შეფასების ქულებს(0÷9), შეფასების მაქსიმალური და მინიმალური ციფრები უქმდება თითოეული კომისიის წევრის შეფასებებიდან.

ზემოხსენებული პროცედურა განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე: დაუშვათ, რომ კომისიის შვიდმა წევრმა ხუთი კრიტერიუმი შეაფასა შემდეგნაირად (იხ. ცხრ №1):

**ახალი ჯამი მიიღება ყვითელი ფერის შეფასებების (კრიტერიუმის მაქსიმალური და მინიმალური შეფასებები) ამოგდებათ.** კომისიის პირველი წევრისათვის პირველი კრიტერიუმის შეფასების კოეფიციენტი არის  $28:55=0,51$ ; მეორე წევრისათვის  $20:55=0,36$ ; მესამე წევრისათვის  $7:55=0,13$  და ა.შ. აქ დამრგვალებას ვახდენთ მესამე სიზუსტით. ამის შემდეგ კომისია გადადის სატენდერო წინადადების შეფასებაზე.




**ცხრილი. №1 კრიტერიუმების შეფასებები**

	კრიტ1	კრიტ2	კრიტ3	კრიტ4	კრიტ5	
წვერი1	5	4	2	1	0	
წვერი2	3	4	1	0	0	
წვერი3	4	3	1	0	0	
წვერი4	5	5	2	0	1	
წვერი5	8	6	2	0	0	
წვერი6	9	3	1	0	0	
წვერი7	6	4	0	0	0	
ჯამი	40	29	9	1	1	80
ახალი ჯამი	28	20	7	0	0	55
კოეფიციენტი	0.51	0.36	0.13	0.00	0.00	

კომისიის თითოეული წვერი ეცნობა ყველა წინადადებას და უნერს შეფასებას კრიტერიუმების მიხედვით (პირობითად 0-9). შეფასებები ინახება წინადადების შეფასებების ცხრილში

**სურ. №2. წინადადებების შეფასებათა ცხრილი**



**ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი**

ანალოგიურად დაუშვათ, რომ რომელიმე ორგანიზაციის სატენდერო წინადადება კომისიის წევრებმა შეაფასეს შემდეგნაირად:

	კრიტ1	კრიტ2	კრიტ3	კრიტ4	კრიტ5	
წვერი1	8	8	2	9	0	
წვერი2	8	5	1	8	0	
წვერი3	6	7	1	5	0	
წვერი4	6	5	2	6	2	
წვერი5	5	6	2	8	0	
წვერი6	7	6	1	9	0	
წვერი7	1	4	0	8	0	
ჯამი	41	41	9	53	2	
კოეფიცი.	0.51	0.36	0.13	0.00	0.00	
ქულა	20.87	14.91	1.15	0.00	0.00	36.93

საბოლოო ქულა

აქედან კომისიის თითოეული წვერის მიერ სატენდერო წინადადების შეფასებისას თითოეულ კრიტერიუმზე დაწერილი ქულების ჯამის შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლებით მიღებული ნამრავლების შეჯამებით მიიღება ორგანიზაციის (მომწოდებლის) სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულა. ანალოგიურად გამოითვლება სხვა ორგანიზაციების (მომწოდებლების) შედეგები. გამარჯვებულად გამოცხადდება ორგანიზაცია, რომელიც ჯამში მეტ ქულებს დააგროვებს. ამის შემდეგ ტენდერში გამარჯვებული ფირმის მიერ ხდება საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში და ხელშეკრულების გაფორმება.

## ლოგისტიკის არსი და ლოგისტიკური მართვის ამოცანები

მანანა ნანიტაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასთან დაკავშირებით აქტიურად ვითარდებიან ისეთი ახალი მეცნიერულ-პრაქტიკული მიმართულებები როგორცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი და ლოგისტიკა. მათდამი დიდი ინტერესი, რომლებსაც ავლენენ ქართველი მეცნიერები, უნივერსიტეტების პროფესორა, ეკონომიკისა და ბიზნესის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, აიხსნება არა მარტო ჩვენი ეროვნული ეკონომიკისათვის ახალი ტერმინებით, არამედ, და, რაც მთავარია იმ შთამბეჭდავი შედეგებით, რომლებიც მიღებულია ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. თუ მარკეტინგისა და მენეჯმენტის შესახებ ქართულ ენაზე ინტენსიურად ქვეყნდება მეცნიერული ნაშრომები და სასწავლო ლიტერატურა (სალექციო კურსები, სახელმძღვანელოები და სხვ.), შექმნილია უმაღლეს სასწავლებლებში კათედრები და მზადდება შესაბამისი სპეციალისტები, ჯერჯერობით ანალოგიური მიდგომა არ არის ლოგისტიკის მიმართ. ლოგისტიკა წარმოადგენს შედარებით ახალგაზრდა და სწრაფად განვითარებად მეცნიერებას.

ლოგისტიკა განეკუთვნება XXI საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერებათა რიცხვს. ბევრ საზღვარგარეთულ ქვეყანაში შექმნილია და ეფექტიანად ფუნქციონირებენ ლოგისტიკური ასოციაციები, ორგანიზაციები და საზოგადოებები. გამოდის პერიოდული გამოცემების დიდი რაოდენობა ლოგისტიკის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. მაგალითად, აშშ-ში არსებობს დაახლოებით 20 მსგავსი გამოცემა. პერიოდულად ტარდება საერთაშორისო და ევროპული კონგრესები ლოგისტიკის შესახებ. აღსანიშნავია ევროპული ლოგისტიკური ასოციაციის კონგრესი – „ევროლოგისტიკა – 2000“, რომელიც ჩატარდა 2000 წლის 14-16 მაისს ათენში დევიზით: „ლოგისტიკის გამონევა – უფრო უკეთესად, უფრო სწრაფად, უფრო იაფად!“

## ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ტერმინი „ლოგისტიკა“ (ინგლ. – Logistics) ხმარებაში შემოვიდა ძველ საბერძნეთში. რომის იმპერიაში იგი ნიშნავდა სურსათის განაწილების წესებს. ბიზანტიის იმპერიაში ლოგისტიკა განისაზღვრებოდა როგორც არმიის მომარაგებისა და მისი გადაადგილების მართვის ხელოვნება. კერძოდ, გერმანელი მკვლევარი, პროფესორი გ. პაველეკი აღნიშნავს, რომ ლოგისტიკის დანიშნულება ბიზანტიის იმპერიაში იყო „არმიისთვის ჯამაგირის გადახდა, მისი ჯეროვნად შეიარაღება და ქვედანაყოფებად განაწილება, იარაღითა და სამხედრო ქონებით მომარაგება, დროულად და სრულად ზრუნვა მის მოთხოვნილებებზე და, შესაბამისად, სამხედრო ლაშქრობის თითოეული აქტის მომზადება..., ადგილმდებარეობის, აგრეთვე მტრის წინააღმდეგობის ძალების სწორი ანალიზის გაკეთება არმიის გადაადგილების თვალსაზრისით და ამ ფუნქციების შესაბამისად მართვა და ხელმძღვანელობა, ერთი სიტყვით, საკუთარი შეიარაღებული ძალების მოძრაობისა და განაწილების განკარგვა“<sup>1</sup>.

ისტორიულად ჩვენამდე მოაღწია ლოგისტიკის ორმა ძირითადმა განმარტებამ. პირველი მათგანი დაკავშირებულია ლოგისტიკის სამხედრო სფეროში გამოყენებასთან. ამ შემთხვევაში ლოგისტიკა განისაზღვრება როგორც არმიების მართვის ხელოვნება, რომელიც მოიცავს ჯარების დისლოკაციის, არმიის სატრანსპორტო მომსახურებასთან და ა. შ. დაკავშირებულ დაგეგმვის, მართვისა და მომარაგების საკითხთა ფართო წრეს. 1884 წელს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინსტიტუტმა შემოიღო ცნება „ლოგისტიკა“ ნავიგაციის საჭიროებებისთვის. ფართოდ განვითარდა ლოგისტიკის პრინციპები მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში დისლოცირებული ამერიკის არმიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე შეიარაღების, სურსათის მიმწოდებლებთან ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად. პრაქტიკულად გამოყენების პარალელურად ბევრ ქვეყანაში (აშშ და სხვ.) ვითარდება სამხედრო ლოგისტიკის თეორია, რომელიც განსაზღვრავს ლოგისტიკას როგორც მეცნიერებას ჯარების გადაადგილებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და მართვის შესახებ. ტერმინი „ლოგისტიკის“ მეორე

1 Смехов А. А. Основы транспортной логистики. М., 1995, с. 197.



განმარტება გამოიყენებოდა მათემატიკური ლოგიკის მნიშვნელობით. ტერმინის ეს შინაარსი განმტკიცდა ფილოსოფიის კონგრესზე ყენევაში 1904 წელს.

ლოგისტიკა როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება (პრაქტიკა) სამოქალაქო სფეროში (საქმიანობაში) იწყებს ჩამოყალიბებას გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში. ლოგისტიკის ევოლუცია მჭიდრო კავშირშია საბაზრო ურთიერთობების ისტორიასა და ევოლუციასთან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან თვით ტერმინი „ლოგისტიკა“ ბიზნესში დამკვიდრდა და ფართო გამოყენება ჰპოვა მსოფლიოში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. შემდგომ პერიოდში მიმდინარეობს დისკუსიები დასავლეთის სპეციალისტებს, მეცნიერებს შორის ლოგისტიკის სახელწოდებისა და არსის რაობაზე.

ლოგისტიკაში როგორც მეცნიერულ დისციპლინაში გამოყოფენ: მომარაგების ლოგისტიკას (Logistics of supply), სანარმოო (სამრეწველო) ლოგისტიკას (Production Logistics), გასაღების ლოგისტიკას (Logistics of Distribution), სატრანსპორტო ლოგისტიკას (Traffic Logistics) და სხვ.

ჩვენი აზრით, ლოგისტიკის ყველაზე მისაღები განმარტება, რომელშიც ასახულია მისი განსაზღვრული არსი, მოცემულია ტერმინოლოგიურ ცნობარში: „ლოგისტიკა“ (Logistics) – მეცნიერება ტრანსპორტირების, სასაწყობო და სხვა მატერიალური და არამატერიალური ოპერაციების დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის შესახებ, რომლებიც სრულდება ნედლეულისა და მასალების მწარმოებელ სანარმომდე დაყვანის, ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების შიგასაქარხნო გადამუშავების, მზა პროდუქციის მომხმარებელამდე დაყვანის პროცესში ამ უკანასკნელის ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა, შენახვა და დამუშავება“.<sup>1</sup> ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ლოგისტიკა წარმოადგენს სისტემას, რომელიც მოიცავს ფუნქციურ სფეროებს. ლოგისტიკის სტრუქტურა თავის გამოხატულებას პოულობს ისეთ ფუნქციურ სფეროებში, როგორცაა: საქონლის მარაგი, ტრანსპორტირება, სასაწყობო ოპერაციები და სხვა სფეროები.

<sup>1</sup> Родников А. Н. Логистика: Терминологический словарь. М., 1995, с. 86.

ლოგისტიკურ ფუნქციურ სფეროებში წყდება მთელი რიგი ძირითადი პრობლემები:

- 1) მატერიალური მარაგის დაგეგმვა;
- 2) საქონლის ტრანსპორტირება, რომელიც გულისხმობს ტრანსპორტის სახეების შერჩევას, კლინეტთა მომსახურების გრაფიკის შედგენას;
- 3) სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაცია, რომელშიც შედის საწყობების განლაგება, სასაწყობო გადამუშავება, შეფუთვა და ა. შ.;
- 4) მარაგის მოძრაობის მართვის, მოთხოვნის პროგნოზირების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- 5) ლოგისტიკის სხვა ფუნქციური სფეროები: კადრები, რომლებიც ემსახურებიან წარმოებას (ბიზნესს).

ამრიგად, ლოგისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესის დიდმნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომ მან ფართო გავრცელება ჰპოვა გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ლოგისტიკის გამოყენება, ლოგისტიკურ პროცესებში მონაწილეობა სანარმოებს (ფირმებს) აძლევს შესაძლებლობას მიაღწიონ დიდ ეკონომიკურ ეფექტს.

იბადება კითხვა: რა არის ლოგისტიკის გამოყენებიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტის წყარო? ნებისმიერი სანარმოო-გასაღებითი პროცედურა ეკონომიკური საქმიანობის მიზნების განსაზღვრის შემდეგ ითვალისწინებს რიგი ინფორმაციული, ფინანსური და მატერიალური ნაკადის გარდაქმნას და მოძრაობას. ამასთან მატერიალური მარაგის ღირებულება მის მოძრაობისას მომხმარებლისაკენ ყოველთვის იზრდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარაგის მოცულობის შემცირება გზაზე შეკვეთიდან მომხმარებელამდე, აგრეთვე შეკვეთების დაკმაყოფილების დროის შემცირებას შეუძლია არსებითად შეამციროს ამისათვის აუცილებელი ხარჯები. ამრიგად მართვის ტრადიციული მეთოდების დროს არ გამოიყენება საამისო შესაძლებლობები, რომლებიც არსებობენ როგორც სანარმოო სფეროში, ასევე გასაღებისა და გავრცელების სფეროში. ევროპის სამრეწველო ასოციაციის მონაცემებით, ყველა მატერიალური მარაგი გზაზე განაცხადის (შეკვეთის) მიღებიდან მომხმარებელამდე როგორც ერთიანი მთლიანი, ლოგისტიკური მიდგომის გამოყენებით იძლევა შესაძლებლობას შემცირდეს მარ-

აგის მოცულობა 30-70%-ით.<sup>1</sup>

მარაგის მოცულობის შემცირება განაპირობებს არსებითი ეკონომიკური ეფექტის მიღებას: 1) იმის შედეგად, რომ მცირდება სანარმოს (ფირმის) საბრუნავი კაპიტალის წილი; 2) მცირდება დაუბრუნებელი დანახარჯები ამ მარაგის შენახვასა და მართვაზე. მცირდება აგრეთვე დანაკარგები საქონლისა და მასალების გაფუჭების ან სხვა მიზეზთა გამო შენახვის დროს. მარაგის მოცულობისა და ეკონომიკური საქმიანობის ციკლის დროის შემცირება იწვევს კაპიტალის ბრუნვადობის ამაღლებას, ზრდის მოგებას და საბოლოოდ განაპირობებს საქონლის თვითღირებულების შემცირებას.

ლოგისტიკურ მართვას შეუძლია უზრუნველყოს არსებითი ეკონომიკური ეფექტი არა მხოლოდ მთელი საფინანსო-სანარმოო პროცესის როგორც ერთიანი მთლიანი პროცესის კონცეფტუალური განხილვის შედეგად, არამედ ამ პროცესის ცალკეული ელემენტების მისთვის დამახასიათებელი მართვის ტექნოლოგიური მეთოდების შედეგად. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება ტრანსპორტირებისა და სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციისა და ტექნიკური განხორციელების დროს. ასეთი ოპერაციები წარმოადგენენ თანამედროვე სანარმოო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის აუცილებელ ატრიბუტს.

საერთო მეთოდოლოგიური პოზიციებიდან ტრანსპორტირების ცალკეული ოპერაციებისა და სტადიებისადმი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას ეფექტიანად გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორცაა ტრანსპორტის სახისა და სატრანსპორტო საშუალების ტიპის შერჩევა, დატვირთვის რაციონალური განაწილება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებს შორის, შერეული გადატვირთვებისა (გადატანისა) და მარშრუტების მიზანშეწონილობის განსაზღვრა. ხორციელდება აგრეთვე სატრანსპორტო-სასაწყობო ოპერაციების განსაზღვრა ეკონომიკური საქმიანობის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, სატრანსპორტო-სასაწყობო, მომარაგების, სანარმოო და გასაღების ოპერაციების დაკავშირება. ამასთან ჩვეულებრივად ხდება ტარის უნიფიცირება, ფართოდ გამოიყენება კონტეინერული გადაზიდვები და სრულდება ტვირთდამუშავების

<sup>1</sup> Гаджинский А. М. Логистика. М., 1999, с. 43.

ოპერაციები. ტვირთის შენახვისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის ასეთი წესი იძლევა შესაძლებლობას შესრულდეს შემკვეთის მოთხოვნები, უფრო ფართო გაგებით – გარემომცველი ეკონომიკური გარემოს მოთხოვნები და პრაქტიკულად განხორციელდეს მიახლოება სანარმოო პროცესის ორგანიზაციისადმი თანამედროვე მოთხოვნების რეალიზაციისადმი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ზუსტად დროში“ (იაპონური სისტემა „კანბან“). იდეალში ასეთი ორგანიზაცია ითვალისწინებს, რომ **საჭირო ნაწარმი (საჭირო ხარისხის) საჭირო რაოდენობით მიენოდოს საჭირო დროს საჭირო ადგილას დანახარჯების მინიმალური დონისა და ოპერაციათაშორისო მარაგის არარსებობის პირობებში**. ანალოგიურ მიდგომისას შეიძლება შეთანხმებულად და საერთო სარგებლით გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორცაა განსაზღვრა იმისა, სად და უკეთ შეიძლება დაფასოვდეს საქონელი (დამამზადებელთან თუ მომხმარებელთან), როგორი ტექნიკური საშუალებებით უნდა იქნეს მიწოდებული მომხმარებელზე და როგორია ამ საქონლის შუალედური შენახვის წესები, მოცულობა და ადგილი, აგრეთვე სხვადასხვა სატრანსპორტო ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტა.<sup>1</sup>

მოკლედ იმის თაობაზე, რით განსხვავდება მარაგის ლოგისტიკური მართვისა და სასაწყობო ოპერაციების და ტრანსპორტირების ამოცანები. **მარაგის ლოგისტიკის** ცნებაში გაიგება მარაგის მოცულობების და მისი მასალაგამტარი ჯაჭვის ყველა რგოლში სწორი განლაგების განსაზღვრა და მართვა. **სასაწყობო ოპერაციების ლოგისტიკაში** მოიაზრება მარაგის შექმნის, კონტროლისა და მართვის პროცედურის რეალიზაციის ტექნიკა, კერძოდ საწყობების ტიპების და მათი პარამეტრების, ავტომატიზაციის ხარისხისა და განლაგების ადგილის განსაზღვრა და შერჩევა, სასაწყობო ოპერაციების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტება და ა. შ.

დასახელებულ ამოცანებისთვის შესატყვისია საკუთარი, მათთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგია და ამავე დროს ისინი განხილდება ლოგისტიკის მიერ ერთიანი პოზიციიდან.

<sup>1</sup> ნანიტაშვილი მ. საქონელმომძრაობის ძირითადი არხები და შუამავლები ლოგისტიკის სისტემაში. თსუ. სამეცნიერო ნაშრომი, კრებული IV (მარკეტინგის აქტუალური საკითხები). თბ., 2000, გვ. 103.

ლოგისტიკა ორგანულ კავშირშია მარკეტინგთან და მენეჯმენტთან. მარკეტინგის საფუძველზე მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია: **ინარმოოს ის, რაც შეიძლება გაიყიდოს და არა იყიდებოდეს ის, რაც ინარმოება.**

ლოგისტიკური მართვა, ვრცელდება საწარმო-გასაღებიანი საქმიანობის ყველა სტადიაზე, წარმოადგენს უფრო ფართო ცნებას, ვიდრე მატერიალური და არამატერიალური ნაკადის მართვა. ლოგისტიკა იყენებს მარკეტინგის მეთოდებს ბაზრის ანალიზისა და ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის. ამოცანებში მოიაზრება: წარმოების პროცესის ორგანიზაცია და მისი წარმართვა; მარაგის, ტრანსპორტირების, სასაწყობო ოპერაციების მართვა; გასაღების ორგანიზაცია; ინფორმაციული და ფინანსური ნაკადის მართვა, რისთვისაც რიგ შემთხვევებში გამოიყენება ლოკალური ადამინისტრაციული მართვის მეთოდები.

## **INNOVATION AS THE BASIS FOR THE DEVELOPMENT AND IMPROVEMENT OF SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES**

**Ashot Matevosyan Varazdat**

Armenian State Economic University,

Dean, Accounting and auditing, Doctor of Economics Sciences

Effective development of Russian economy objectively requires fundamental changes in technologies, the principles of building the organizational structures of enterprises, management of all processes going on in enterprises, including in the services sector.

All of this relates to the development and implementation of innovations that are essential to the progressive development of individual enterprise and the economy as a whole. Innovation processes are becoming increasingly important, their main objective is to achieve a competitive advantage and companies better udovltvoreniesprosa consumers in high-quality products and services<sup>1</sup>.

To date, it may provide a generally innovation to be widely adopted and used in new economic conditions.

The scope of services in today's economic environment plays a critical role in meeting the needs of society. As the formation of our country post-industrial information society, the role of service will steadily grow as the needs of the population will continue to grow, and their diversity is constantly expanding.

Service industries in the world in today's environment is a powerful and diverse system that includes a variety of spheres of human activity: personal services, financial services, science and nauchnoeobszluzhivanie, physical education and sports, hotels, tourist services, health, education and transport, trade, insurance, consulting services, etc. With the development of science and technology service sector will continue to evolve and include entirely new areas of human activity: for example in recent times

<sup>1</sup> Karnauhova, VK Service activities: training manual / VK Karnaukhova, T. Krakow. - M.: ICC "March", Rostov n / D: Publishing Center "March", 2006, 116 p.

there are many areas related to the Internet<sup>1</sup>.

